კოსმოსის დაპყრობის ახალი ეტაპი

კოსმოსური რაკეტა მიჰქრის პლანეტა ვენერასაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკდესის ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1961 წლის 12 თებერვალს საბჭოთა კავშირში სრულყოფილი მრავალსაფეხურიანი რაკეტით ორბიტაზე გაყვანილ იქნა დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრი.

იმავე დღეს ამ თანამგზავრიდან გაფრინდა მართული კოსმოსური რაკეტა, რომელმაც ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური გაიყვანა პლანეტა ვენერის ტრაექტორიაზე.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური პლანეტა ვენერის რაიონს მიაღწევს 1961 წლის შუა მაისს.

ამ გაშვების ძირითადი ამოცანებია შეამოწმონ საპლანეტათშორისო ტრასაზე კოსმოსური ობიექტის გაყვანის მეთოდები, შეამოწმონ ზეშორი რადიოკავშირი და კოსმოსური სადგურის მართვა, დააზუსტონ მზის სისტემის მასშტაბი და განახორციელონ მთელი რიგი ფიზიკური კვლევა კოსმოსში.

აპარატურა, რომელიც საპლანეტათშორისო სადგურზე დგას, ნორმალურად მუშაობს. ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის წონა 643,5 კილოგრამს შეადგენს.

რადიოგადაცემა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან წარმოებს 922,8 მეგაჰერცის სიხშირით დედამიწიდან მიცემული კომანდებით.

ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურს მიაქვს ალამი, რომელზეც გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენაზე დაკვირვებას ახორციელებს სპეციალური საზომი ცენტრი.

მიღებული ცნობებით, ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური მოძრაობს ორბიტით, რომელიც უახლოვდება ნავარაუდევს.

1961 წლის 12 თებერვალს დღის 12 საათზე მოსკოვის დროით სადგური იყო დედამიწის ზედაპირიდან 126 ათას 300 კილომეტრ მანძილზე დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია აღმოსავლეთ გრძედის 86 გრადუსი და 40 მინუტი და ჩრდილოეთ განედის 6 გრადუსი და 04 მინუტი.

პლანეტა ვენერაზე კოსმოსური რაკეტის წარმატებითი გაშვება კვალავს პირველ საპლანეტათშორისო ტრასას მზის სისტემის პლანეტებისაკენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 38 (11952) | სამშაბათი, 14 თებერვალი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა მეცნიერების ახალი ჭრიუმფი

აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის გაშვება ახალი, შეიძლება ითქვას, განსაცვიფრებელი დადასტურებაა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისა. საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფული სვლა გრძელდება — ასე შეიძლება შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის ახალი მეცნიერული გამარჯვება კოსმოსის ათვისებაში. საქართველოს მეცნიერი მუშაკები გულითადად, სულითა და გულით

ქართველი მეცნიერები უდიდესი ინტერესით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენმა ქვეყანამ გაუშვა კოსმოსური ხომალდი პლანეტა ვენერასაკენ. საქართველოს კორესპონდენტი ესაუბრა რესპუბლიკის მეცნიერული სამყაროს მრავალ წარმომადგენელს და სთხოვა მათ კომენტარი გაეკეთებინათ საკდესის ცნობისათვის. აი მათი პასუხი:

ულოცავენ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებსა და მუშებს — ახალი საპლანეტათშორისო ხომალდის შემქმნელებს.

პროფესორი ე. კ. ხარაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ მეცნიერულ პროგრესს. საბჭოთა ადამიანებმა პირველებმა შეძლეს გადაელახათ

პროფესორი ვ. დ. კუპრაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი

კოსმოსური სადგურის გაშვება პლანეტა ვენერასაკენ — ყოველმხრივ შეუდარებელი მიღწევაა. ჩვენმა მეცნიერებმა ამით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი პრიორიტეტი და წამყვანი როლი კოსმოსის ათვისებაში. ამერიკის შეერთებული შტატები არაერთხელ ტრაბახით აცხადებდნენ, რომ ორი წლის განმავლობაში შეამცირებენ განსხვავებას ჩვენს ქვეყნებს შორის კოსმოსის ათვისებაში. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. ეს განსხვავება სულ უფრო იზრდება და ვფიქრობ, რომ შეერთებულ შტატებს უკვე არ ეყოფათ ათეული წლებიც, რათა დაეწიონ საბჭოთა კავშირს. მხურვალედ მივესალმები ჩვენს ნიჭიერ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, რომლებმაც ერთხელ კიდევ ასახელეს ჩვენი ქვეყანა.

ნ. ს. ხრუშჩოვი

მოსკოვში ჩავიდა

12 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა ვორონეჟიდან, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ზონის ოლქების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში. (საკდესი).

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი ვორონეჟში

ვორონეჟი, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მისი სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშით.

ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა მიიღეს მიმართვა ვორონეჟის, ბელგოროდის, კურსკის, ლიპეცკის, ორიოლის, ტამბოვისა და პენზის ოლქების ყველა კოლმეურნისადმი. საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური საგაურების მუშებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში დიდი დამსახურებისა და მედიცინის მეცნიერების განვითარებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებთა და მედლებით დაჯილდოდა 6.982 მედიცინის მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 478 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 1.064, „სპატიო ნიშნის" ორდენით — 1.943 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 3.497 კაცი.

მსოფლიო აღფრთოვანებულია

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. (საკდესი). ცნობა კოსმოსის შეუცნობ სამყაროთა გამოკვლევაში საბჭოთა კავშირის ახალი შესანიშნავი მიღწევის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო ამერიკის შეერთებულ შტატებს. დეპეშათა სააგენტოებმა დაუყოვნებლივ გადასცეს მოსკოვის ცნობა მძიმე ხელოვნური თანამგზავრის გაშვებისა და პლანეტა ვენერის ტრაექტორიაზე ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის გაყვანის შესახებ. ცნობით საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ბრწყინვალე წარმატების შესახებ იწყება უკანასკნელი ამბების ყველა გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და მუშების გმირობას უწოდებს „რაკეტომშენებლობის ფანტასტიკურ მიღწევას". ვაშინგტონიდან გადმოცემულ ცნობაში ამ სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკელი კოსმოსური ექსპერტების აზრით, „ვენერის მიმართულებით რაკეტის გაშვებით საბჭოთა კავშირმა თითქმის სამი წლით გაუსწრო შეერთებული შტატების მიერ დაგეგმილ შესაბამის გაშვებას".

სენატის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის კომისიის წევრმა რესპუბლიკელმა სენატორმა კლიფორდ კეიზმა კოსმოსურ ოპერაციათა რთულ კომპლექსს, რომელიც საბჭოთა კავშირმა განახორციელა, „უაღრესად საინტერესო მიღწევა" უწოდა.

პარიზი, 13 თებერვალი. (საკდესი). „ელვა. მძიმე თანამგზავრიდან გაშვებულია მართული კოსმოსური რაკეტა, რომელიც მოძრაობს პლანეტა „ვენერის მიმართულებით", — ასე გადასცა ფრანს პრესის სააგენტომ თავისი პირველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური გაყვანილია პლანეტა ვენერის ტრაექტორიაზე.

სააგენტოს ცნობაში უწინარეს ყოველისა აღნიშნულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის წონა. „ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მოძრაობის ორბიტა უახლოვდება ნავარაუდევს", — ხაზგასმით აღნიშნავს სხვა ცნობაში სააგენტო. ფრანს პრესი აღნიშნავს აგრეთვე, თუ რა მანძილზე იყო სადგური დედამიწის ზედაპირიდან 12 საათზე მოსკოვის დროით, აღნიშნავს კოორდინატებსა და დროს, როცა იგი მიღწევს ვენერას.

პრაღა, 13 თებერვალი. (საკდესი). საკდესის ცნობას საბჭოთა კავშირის მიერ ვენერაზე კოსმოსური რაკეტის გაშვების შესახებ, რაც აღგილობრივმა რადიოსადგურებმა გადასცეს, აქ შეხვდნენ როგორც შესანიშნავ, საღღესასწაულო მოვლენას. ჩეხოსლოვაკიის ხალხი ტაშს უკრავს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკოსების ახალ გამარჯვებას, რომლებიც გზას კვალავენ შორიულ ვარსკვლავთა სამყაროებისაკენ. სამყაროს პირველამომჩენნი — ასე უწოდებენ ჩეხები და სლოვაკები მოძმე საბჭოთა ხალხს.

ჰანოი, 13 თებერვალი. (საკდესი). საკდესის ცნობა იმის შესახებ, რომ ორბიტაზე გაშვებულია დედამიწის ახალი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი და მისგან ვენერის მხარეს გაყვანილია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური, ჰანოიში გვიან ღამით მოვიდა, მაგრამ იგი დაუყოვნებლივ გადასცა ჰანოის რადიოსადგურმა.

დღეს დილიდან რადიო რეგულარულად გადასცემს ცნობებს საპლანეტათშორისო სადგურის მოძრაობის შესახებ, აგრეთვე უცხოეთის გამოხმაურებას საბჭოთა მეცნიერების ახალ შესანიშნავ გამარჯვებაზე.

დედამიწის უახლოესი დოგილი

რა ვიცით ადამიანებმა ცთომილ ვენერაზე?

დღეს მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობს...

საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური 15 მაისს მიაღწევს ვენერას.

1961 წელს ვენერის მდგომარეობა განსაკუთრებით ხელსაყრელია დაკვირვებისათვის. შუა აპრილში იგი დედამიწას მოუახლოვდება. ამ დროს მანძილი ვენერამდე 42 მილიონი კილომეტრი იქნება. იგი ამჟამად ყველა ვარსკვლავზე უფრო ნათლად კიაფობს. შუა აპრილში კი იგი დედამიწას მოუახლოვდება თავისი ჩაბნელებული, მზით გაუნათებელი ნახევარსფეროთი.

ვენერა მზეს დაშორებულია საშუალოდ 108 მილიონი კილომეტრით. იგი ნელა ბრუნავს და მზის გარშემო შემოვლას ანდომებს 225 ჩვენებურ დღეღამეს. ვენერის დიამეტრია დაახლოებით 12,5 ათასი კილომეტრი. მასა შეადგენს დედამიწის მასის 0,818-ს, ხოლო სიმკვრივე — დედამიწის სიმკვრივის 0,843-ს. ერთი სიტყვით, იგი თავისი ზომა-წონით თითქმის დედამიწის ტოლია.

ვენერაზე ღრუბლები არასოდეს არ იფანტება. ჯერ არც ერთ მეცნიერს არ დაუნახავს ამ ცთომილის ხმელეთი-ზედაპირი. ტელესკოპში მოჩანს მხოლოდ ნისლი და ღრუბლები.

1950-1954 წლებში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ღრუბლები, რომლებიც ვენერას თარავს, ზოლისებრი ღრუბლებია. დედამიწას დიდი მანძილით რომ დაშორდეთ, დედამიწის თაღზე წარმოშობილი ღრუბლებიც ამგვარად გამოჩნდებოდა.

პლუტონის გარდა, ვენერა მზის სისტემის ერთადერთი ცთომილია, რომლის დღეღამის ხანგრძლივობაც ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი. უკანასკნელ ხანს ამერიკელმა ასტრონომმა რ. ს. რიჩარდსონმა მოუნტ-ვილსონის ობსერვატორიაში სპექტრულ დაკვირვებათა საშუალებით დაამტკიცა, რომ თუ ვენერა ბრუნავს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ამ დროს თავისი ღერძის გარშემო შემოვლას იგი ანდომებს ჩვენებურ შვიდ დღეღამეს, ხოლო თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ბრუნავს, მაშინ 3,5 დღეღამეს.

როგორი ტემპერატურაა ვენერას ზედაპირზე?

დღემდე მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ვენერის ზედაპირზე ტემპერატურა შეადგენდა პლუს 60-80 გრადუსს. მოულოდნელი იყო რადიოდაკვირვებების შედეგები. საბჭოთა მეცნიერებმა ა. დ. კუზნინმა და ა. ე. სალომონოვიჩმა მოახდინეს დაკვირვება მძლავრი რადიოტელესკოპით. აღმოჩნდა, რომ ვენერის იმ რაიონებში, სადაც მზე ზენიტშია, ტემპერატურა აღწევს პლუს 200-300 გრადუსს, ღამით კი იგი ალბათ ნულამდე ეცემა.

1949 წელს აკადემიკოსმა ნ. ბარბაშოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვენერაზე არსებობს უზარმაზარი ოკეანე. ასეთივე აზრი გამოთქვეს 1955 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა მეზელმა და ოიბლმა. დაკვირვებათა მიხედვით, ვენერის ატმოსფერო მიტისმტად მკვრივი უნდა იყოს. ვენერაზე მკვრივი ატმოსფეროს არსებობა ჯერ კიდევ ლომონოსოვმა აღმოაჩინა 1761 წელს.

ვენერის სპექტრს მრავალი ასტრონომი სწავლობდა. ამ მეცნიერთა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ეანგბადის რაოდენობა ვენერის ატმოსფეროში, ღრუბლებს ზემოთ, დედამიწის მთელ ატმოსფეროში არსებული ეანგბადის რაოდენობის 1/1.000-ს არ აღემატება. წყლის ორთქლი ამ ფენაში აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა 1960 წელს ამერიკელმა სტრონგმა, რომელმაც ტელესკოპი 24 კილომეტრ სიმაღლეზე აიტანა, ვენერის ატმოსფეროში წყლის ორთქლიც აღმოაჩინა. შექფილტრების საშუალებით ვენერის გამოკვლევა ადასტურებს, რომ მისი ატმოსფერო შედგება ორი ფენისაგან, ზედა ფენა თხელი და გაუხშოებულია, ქვედა ფენის სიღრმე გაცილებით მეტია. ამ ფენას მოყვითლო ფერი უნდა ჰქონდეს. 1932 წელს ამერიკელებმა ვ. ს. ადამსმა და ტ. დანჰემმა მოუნტ-ვილსონის ობსერვატორიაში აღმოაჩინეს ვენერის სპექტრში არსებული ფართო ზოლები, რომლებიც ნახშირორჟანგის აირს ეკუთვნოდა. ცხადია, რომ ვენერის ღრუბლებს ზემოთ დიდი რაოდენობით არის ნახშირორჟანგის აირი. მეცნიერების ფიქრით, ვენერის ღრუბლოვა ფენის ქვეშ უნდა არსებობდეს ეანგბადისა და წყლის ორთქლიც. საბჭოთა მეცნიერმა ნ. ა. კოზირევმა დაადგინა, რომ ღამის ცა ვენერაზე 50-ჯერ უფრო ნათელია, ვიდრე დედამიწაზე. ეს არც საკვირველია, ვენერა უფრო ახლოა მზესთან, ვიდრე დედამიწა.

ადამიანებმა ძალიან ცოტა რამ ვიცით ვენერაზე... მაგრამ აი გაფრინდა საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური საიდუმლოებით მოცული ცთომილისაკენ.

სულ მალე საბჭოთა ადამიანი ფარდა ახდის ვენერის საიდუმლოებას.

1961 წლის 15 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქ. თბილისში, რკინიგზელის სახლში (პლეხანოვის პროსპ. № 127-ა) **მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეოთხე პლენუმი.**

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი

მედიცინის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში დიდი დამსახურებისათვის და მედიცინის მეცნიერების განვითარებისათვის დაჯილდოვა:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ლენინის ორდენით

1. **ბაკურაძე ეკატერინე ირაკლის ასული** — ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს ფერშალი-მეანი.
2. **ბაქრაძე აკაკი ტრიფონის ძე** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის პროფესორი.
3. **ვროზდოვა თამარ ნიკოლოზის ასული** — ქალაქ თბილისის მე-11 პოლიკლინიკის ექიმი-ქირურგი.
4. **ემუხვარი გიორგი ნესტორის ძე** — საქალაქო საავადმყოფოს განყოფილების გამგე, ქალაქი სოხუმი.
5. **ლოლუა მიხეილ ალექსის ძე** — ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი-რენტგენოლოგი.
6. **ხეციძე არჩილ ნოეს ძე** — ტუბერკულოზური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანი.
7. **ჩოინიშვილი დარეჯან გიორგის ასული** — ქალაქ ტყიბულის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ალავიძე ვალენტინა ილიას ასული** — საუბნო საავადმყოფოს ექიმი, ცაგერის რაიონის სოფ. ალპანა.
2. **ამირან ამირ ალი-ოღლი** — ქალაქ თბილისის მე-5 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე.
3. **ბუცხრიკიძე გოგუცა გრიგოლის ასული** — ასპინძის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
4. **გელბახიანი პეტრე გედეონის ძე** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი.
5. **გოზალოვი ტიგრან არტემის ძე** — ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ფერშალი.
6. **დიასამიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე** — შუახევის რაიონის ზამლეთის ტუბერკულოზური საავადმყოფოს ექიმი.
7. **ვარდოსანიძე თინა ონისიმეს ასული** — კურორტ წყალტუბოს პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.
8. **ქირვალიძე ივანე ნიკოლოზის ძე** — გურჯაანის რაიონის მთავარი ექიმი.
9. **კობეშავიძე ანა მიხეილის ასული** — რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი — თერაპევტი, ქალაქი ბათუმი.
10. **მარუაშვილი გიორგი მინას ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.
11. **მიხაილოვი სერგი დიმიტრის ძე** — ჰოსპიტლის ექიმი-ორდინატორი.
12. **ფროლოვა ევდოკია ეფრემის ასული** — ჰოსპიტლის უფროსი მედიცინის დ.
13. **ჭიოევა ანა ზაქარიას ასული** — ამბულატორიის ექიმი, ჯავის რაიონის სოფელი წონა.

„სპატიო ნიშნის" ორდენით

1. **ბაბუხადია კონსტანტინე კასიანეს ძე** — რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი-ფტიზიატრი, ქალაქი ქუთაისი.
2. **ბარნოვი ნიკოლოზ ვასილის ძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიცინის განყოფილების უფროსი.
3. **ბასაშვილი ვლადიმერ ესტატეს ძე** — სამხრეთ ოსეთის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების გამგე.
4. **ბერულავა ლეონინე ბესარიონის ასული** — რკინიგზის პოლიკლინიკის უბნის ექიმი, ქალაქი ხაშური.
5. **ბურშტეინი ცეცილია ისაის ასული** — ქალაქ ბათუმის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.
6. **გელაშვილი ეკატერინე სერაფიონის ასული** — ამბულატორიის ექიმი, ორჯონიკიძის რაიონის სოფელი სარგვეში.
7. **გვინიანი შალვა ფარნაოზის ძე** — საუბნო საავადმყოფოს ექიმი, თელავის რაიონის სოფელი ფშაველი.
8. **გოგობია შოთა დორიმენდის ძე** — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.
9. **გორდაძე გიორგი ნესტორის ძე** — სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
10. **დიასამიძე ირაკლი ახმედის ძე** — აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.
11. **ელიავა-დარაბელიძე ქსენია ვლადიმერის ასული** — ლენინის სახელობის გულრიფშის ტუბერკულოზური სანატორიუმის განყოფილების გამგე.
12. **ენფიანჯიანი გალინა ფრანცის ასული** — საავადმყოფოს საოპერაციოს დ., ახალქალაქის რაიონი.
13. **ვარდანაშვილი ელენე გაბრიელის ასული** — გორის რაიონის მეჯვრისხევის საუბნო საავადმყოფოს ექიმი.
14. **ზედგენიძე გიორგი სერგის ძე** — კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.
15. **თავდიშვილი ეკატერინე ავქსენტის ასული** — მახარაძის რაიონის ბავშვთა კონსულტაციის გამგე.
16. **თურქია არჩილ გიორგის ძე** — ქ. ფოთის კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი.
17. **კაცია ვიქტორ ბაგრატის ძე** — ქალაქ სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

(დასასრული მე-2 გვ.).

პარტიის მოწოდებას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას ვუპასუხოთ ახალი, კონკრეტული საქმეებით ყველა უბანზე, მეგობრებო!

★ ★ ★ ★

ასე დაფასდა ელმავალმშენებელთა შრომა

დიდი ინიციატივის ადამიანები

თბილისის ელმუშათა ინიციატივით, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ მოიწონა, ერთ-ერთი ძველი სარემონტო ქარხანა ამჟამად გადაქცეულია ელმავლების წარმოების უმსხვილეს საწარმოდ. და ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში გაკეთებული ელმავლები დადიან ჩვენი დიადი ქვეყნის ბევრ ფოლადის მაგისტრალზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი

თუ მხოლოდ ამ ქარხნის ფიზიკურ ყოფას, მის საამქროთა არსებობას ვიანგარიშებთ, იგი უკვე კარგა ხანია არსებობს. მაგრამ ქარხნის ნამდვილი სიცოცხლე, მისი ინდუსტრიული მაჯისცემა მხოლოდ ამ სამიოდე წლის წინათ დაიწყო, მაშინ, როცა ქარხნის ალაყაფის კარიდან გამოვიდა პირველი ქართული ელმავალი და თავისი მხნე საყვირით ქვეყანას ამცნო საქართველოს ინდუსტრიის ახალი დარგის — ელმავალმშენებლობის დაბადება.

ქარხნის ბევრ მუშას კარგად ახსოვს 1957 წლის ივნისი. ისინი ალბათ მეახლედ კითხულობდნენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობას, — საქართველოს ახალი ინდუსტრიული გიგანტის, ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის „დაბადების მოწმობას“.

— შეეძლებთ? გავართმევთ თავს ამ რთულ საქმეს? ხომ არ შევრცხვებით? — ეს აზრი უტრიალებდა ყველას — ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ხარატებს, ზეინკლებს, მრანდავებს.

ეს ფიქრებდა აპოლონ მასხარაშვილსაც, ქარხნის მთავარ ინჟინერს, საქართველოში ელმავალმშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ინიციატორს. მან ხომ ყველაზე უკეთ იცოდა ამ საქმის შინაარსი.

საქმე ასე იყო, ჩვენს ქვეყანაში უნდა აშენებულიყო ახალი, მძლავრი ელმავალსამშენებლო ქარხანა, რასაც დიდი ხარჯები, უამრავი დრო და შრომა სჭირდებოდა. სწორედ მაშინ შესთავაზეს სამშობლოს თბილისელმა ლოკომოტივშემკეთებლებმა — ჩვენ დავიწყებთ ელმავლების გამოშვებასო.

ამისათვის ქარხნის კოლექტივს მრავალი პირობა ჰქონდა. საწარმო არ იყო დატვირთული, ჰქონდათ სათანადო მანქანა-დანადგარები, საკმაო საწარმოო ფართობი, ბევრადთ ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა კვალიფიციური კადრები. მაგრამ როდესაც მოსკოვიდან თანხმობა მიიღეს, მაინც შეფიქრიანდნენ — ხომ არ ავჩქარდით, მოუფიქრებელი ნაბიჯი ხომ არ გადადგეთო.

მართლაც ხუმრობა ხომ არ იყო. ელმავალს კი არა, ურემს ვერ გააკეთებს უნაკლოდ კაცი, როცა საქმეს პირველად ჰკიდებს ხელს.

მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. გავიდა ხანი და ქართული მარკის რვაღერძიანმა ელმავალმა საყოველთაოდ მოიხვეჭა მძლავრი და საამედო ლოკომოტივის სახელი. არაერთი მადლობის წერილი მიუღიათ ელმავალმშენებლებს რკინიგზელებისაგან, შორეული ციმბირის ფოლადის მაგისტრალების მუშაკებისაგან, ვისაც ძირითადად უწევს მუშაობა ქართულ ელმავლებზე.

თბილისურმა ლოკომოტივებმა ოფიციალური აღიარებაც ჰპოვეს. შარშანწინ ტომსკის რკინიგზის ტაიგის დეპოში მოწყობილ კონფერენციაზე ექსპლოატაციის მუშაკებმა ერთხმად აღიარეს ქართული ელმავლების მაღალი ხარისხი. ასეთივე შეფასება მისცეს თბილისელ ლოკომოტივებს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს წარმომადგენლებმა კონფერენციაზე. რომელიც იმავე წელს გაიმართა ნოვოჩერკასკში.

ქართული მარკის უკვე რამდენიმე ათეული ელმავალი დაჰკრის ფოლადის მაგისტრალებზე. ყოველ მათგანს თვითეულ რეისზე თან ახლავს ქართველ ელმავალმშენებელთა სიხარული და სიამაყე.

ეს სიხარული თვითონ არ მოსულა, იგი ქარხნის კოლექტივმა დაძაბული შემოქმედებითი შრომით მოიპოვა. ამ შრომაში ელმავალმშენებლები მარტო როდი იყვნენ. მათ ძმურად ამოუდგნენ მხარში, დაეხმარნენ სიძნელეების გადალახვაში ვოროშილოვგრადელი, ხარკოველი, ნოვოჩერკასკელი თბომავალმშენებლები. ამ საწარმოთა კოლექტივები სისტემატურად გზავნიდნენ თბილისში ელექტრომოწყობილობას, კომპრესორებს და მრავალ სხვა ნაწილს.

ახლა ამ დეტალების უმრავლესობას უკვე ადგილზე ამზადებენ. ახლა არავის აღარ ეშინია ახალი საქმის შეეხებისა.

— ელმავლების გამოშვებაში ჩვენი რესპუბლიკა წინ უსწრებს ისეთ დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, როგორიც არის საფრანგეთი, ამაყად ამბობს ქარხნის მთავარი ინჟინერი აპოლონ მასხარაშვილი.

კარგახანია ელმავალმშენებლები უკვე იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გააუმჯობესონ ელმავლების კონსტრუქცია, რა შექმნან ახალი. მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს სერიული სამაგისტრალო რვაღერძიანი ელმავლის კონსტრუქციაში.

მოდერნიზებული ელმავლის გამოშვება გათვალისწინებულია მიმდინარე წელს. უკვე დაწყებულია ერთი საცდელი ელმავლის აწყობა. წლის ბოლომდე დამატებით გამოშვებულ იქნება კიდევ რამდენიმე ელმავალი. მას აღარ ექნება ის ნაკლი, რაც სერიული ელმავლების ექსპლოატაციის დროს გამოვლინდა. გარდა ამისა, ახალი გაუმჯობესებული ელმავალი სერიულ წარმოებაში მყოფ ელმავალთან შედარებით ძლიერი იქნება 25 პროცენტით და გაცილებით მძიმე წონის შემადგენლობას წაიყვანს გადიდებული სიჩქარით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ოთხღერძიანი სამგზავრო ელმავლის დაპროექტებაზე.

მაგრამ არ შეიძლება მოწინავე იყოს საწარმო, თუ იქ შემოქმედი, ახლის მაძიებელი ადამიანები არ მუშაობენ. ასეთი ადამიანები ასობით არიან ამ ქარხანაში. მთელ რესპუბლიკაში კარგად იცნობენ გ. ჩადუნელს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბაღალი წოდებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ინიციატორს. იცნობენ ვ. პაპინაშვილს, გ. ხატიაშვილს და სხვა მრავალს. ზოგიერთი მათგანის შრომითი საქმეები უკვე შორს გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს.

მიმდინარე წელს ელმავალმშენებლებმა 50 პროცენტით უნდა გაზარდონ ელმავლების წარმოება. მათ უკვე დაიწყეს ბრძოლა ამ გადიდებული დავალების შესასრულებლად. ემზადება რა პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად, ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 20 დეკემბრისათვის შესასრულოს წლიური გეგმა, 0,5 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემციროს ელმავლების თვითღირებულება და ამ გზით შვიდწლედის რესპუბლიკის ფონდში შეიტანოს 60.000 მანეთი, დაამთავროს ახალი ოთხღერძიანი სამგზავრო ელმავლის დაპროექტება, დანერგოს ახი რაციონალიზატორული წინადადება და მიიღოს 75.000 მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

ასეთია მათი პიროგა

წულუკიძე. (საქ. კორ.). კოლმეურნე მექანიზატორები ახალი შრომითი გმირობისათვის აღფრთოვანა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა.

სოფელ გოჩა ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ა. ბახტაძემ პირობა დადო წელს კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს 84 ჰექტარი სიმინდი, საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს მარცვლად 40 ცენტნერი, ხოლო სალოსე ნათესებიდან — 300 ცენტნერი მწვანე მასა.

მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ს. ბარბაძემ იკისრა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით ჰექტარზე 45 ცენტნერი სიმინდის მიღება, ნახახულევის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა ა. კობეშავიძემ კომპლექსური მექანიზაციით 20 ჰექტარის დამუშავება და ჰექტარზე სულ მცირე 60 ცენტნერი მარცვლის მიღება.

ქალაქის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორის ქ. ნადარეიშვილის პირობაა კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს 50 ჰექტარი სიმინდი და საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერი მარცვალი.

ჩვენი სიტყვა მტკიცეა

ამ იფიქრებდა წინათ, რომ მესიმინდეებს ამდენი პატივისცემა და დაფასება ექნებოდათ!

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში საუკეთესო ადამიანები უწოდა იმათ, ვისაც სიმინდის ლეზვი და მაღალი მოსავალი მოჰყავს.

მშობლიური კომუნისტური პარტიის, პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის ამ დიდმა დაფასებამ ჩვენ, ქართველ მესიმინდეებს, ძალა და ენერგია შეგვმატა. პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — შვიდწლედის მესამე წელს საქართველომ მიჰყიდოს სახელმწიფოს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენი რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებს.

მე, როგორც ძველ მესიმინდეს, ყოველივე ეს კარგად მაქვს შეგნებული. ამიტომაც გადავწყვიტე არ დავჯერდე იმას, რასაც წინა წლებში ვიღწევდი.

შვიდწლედის მეორე სამეურნეო წელი რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წარმატებით დამთავრა: საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოვიყვანეთ. პირადად მე ჰექტარ ფართობზე 65 ცენტნერი მივიღე. მაგრამ ეს წარსული საქმეა. მიმდინარე წელს რგოლის მესიმინდეებმა გადავწყვიტეთ 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ სამშობლოს. პირადად მე ვკისრულობ ჰექტარზე მივიღო 100 ცენტნერი სიმინდი.

ჩვენი რგოლი უკვე შეუდგა სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას, ვხნავთ მიწას, შეგვაქს ორგანული სასუქები, გავაყვანეს წყალსაწრეტი არხები. ყველაფერს ვავაკეთებთ იმისათვის, რომ წელს სიმინდის მაღალი მოსავალი მივიღოთ და ხასახელო მაჩვენებლებით შეეხვედეთ მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

დ. დანელია,
მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

სიტყვის შთამაგონებელი უდიდესი ძალა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეხვდნენ პრესაში გამოქვეყნებულ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

კითხულობენ, ეცნობიან ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას

ამ ისტორიულმა დოკუმენტმა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ყველა უბანზე — კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებსა თუ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ახალი, თავდადებული, შემოქმედებითი შრომის ტალღა აიზვირთა. ახლა რესპუბლიკაში ყველგან, სადაც იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე, ადამიანები გულდასმით მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ განახორციელონ ის ამოცანები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაუსახა.

ინტერესით ეცნობიან რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსს, საქართველოს მეჩაიეები, შემინდვრეები, მეცხოველეები, მევენახეები, მეციტრუსეები, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის მესამე წელს მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებისათვის.

მახარაძის, ზუგდიდის, გალის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაებმა, სპეციალისტებმა უკვე გააჩაღეს ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებათა და ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ სიტყვაში დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თინა გიგიაშ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის წაკითხვის შემდეგ განაცხადა:— შარშან ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში 12.196 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე, წელს კი ამავე ფართობზე 13.000 კილოგრამამ მწვანე ოქროს მივიღებ და ჩავაბარებ სამამულო მრეწველობას.

— გულდასმით წავიკითხე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა. იქ ლაპარაკია გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებაზე, ასეთი რეზერვები კი ჩვენს კოლმეურნეობაშიც ბევრია. წელს ვალდებულებას ვკისრულობ 70 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღო 70 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. პირადად მე ერთ ჰექტარზე მივიღებ 110 ცენტნერ სიმინდს მარცვლად, — ამბობს ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი შალვა სიფრაშვილი.

ქართველ მეცხოველეთა ფიქრები და თბილდღეობისაკენ.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ თბილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვას.

სურათზე: დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მერძევეობის ფერმის გამგე მ. კობახიძე მუშებს უკითხავს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მედიცინის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

(დასასრული)

18. **კერესელიძე პეტრე გაბრიელის ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.
19. **ლაპინი ბორის არკადის ძე** — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, ქალაქ სოხუმი.
20. **ლომდარიძე ალექსანდრე გიორგის ძე** — ქალაქ სტალინირის საოლქო საავადმყოფოს განყოფილების გამგე.
21. **ლორთქიფანიძე გიორგი ონისიმეს ძე** — ახმეტის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სანიტარიულ ნაწილში.
22. **მანჯგალაძე რევაზ ნიკოლოზის ძე** — თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგე.
23. **მარგალიტაძე ვარლამ ვლადიმერის ძე** — კურორტ აბასთუმნის სამმართველოს დირექტორი.
24. **მხეიძე ოლღა ვიქტორატეს ასული** — ქალაქ თბილისის მე-2 საბავშვო პოლიკლინიკის განყოფილების გამგე.
25. **ნაკაშიძე ელენე ერმილეს ასული** — ფსიქიატრის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
26. **ნემსაძე ზურაბ ივანეს ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს უფროსი.
27. **ოგლობლინა ზინაიდა ივანეს ასული** — ქალაქ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ექიმი — ორდინატორი.
28. **ოდიშვილი გიორგი იასონის ძე** — ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
29. **პეტაშვილი ოსიპ ივანეს ძე** — ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგე.
30. **პეტრიაშვილი გივი აფრასიონის ძე** — ამბროლაურის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში.
31. **ყორდანია მარიამ დიომიდეს ასული** — საგარეჯოს რაიონის ექიმი — პედიატრი.
32. **რცხილაძე სტეფანე ირადიონის ძე** — სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე.
33. **სვანიძე ლეილა ხარიტონის ასული** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის საამქროს ორდინატორი.
34. **სულთანა ეკატერინე ვასილის ასული** — ზესტაფონის ფერომანგანუმთა ქარხნის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის უბნის პედიატრი.
35. **სურგულაძე ნინო სიმონის ასული** — სამგორის რაიონის საუბნო საავადმყოფოს ექიმი.
36. **ტუღუში თამარ სამხელის ასული** — ჯანმრთელობის პუნქტის ფერშალი — მეანი, შუახევის რაიონის სოფელი ბრილი.
37. **უდესიანი უჩა ტარასის ძე** — მესტიის რაიონის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ფერშალი.
38. **ფალავანდიშვილი ირაკლი ვასილის ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში.
39. **ქურციკაშვილი სოლომონ ლევანის ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.
40. **ღლონტი ეთერ ვალერიანის ასული** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.
41. **შეულაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე** — ქალაქ თბილისის 1-ლი საავადმყოფოს ექიმი ორდინატორი.
42. **ჩიქოვანი ლავრენტი მალაქიას ძე** — ჩხოროწყუს რაიონული საავადმყოფოს ექიმი — ვენეროლოგი.
43. **ჩიხლაძე გრიგოლ რომანის ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე.
44. **ცომაია სერგი ვლადიმერის ძე** — საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კურორტთა სამმართველოს უფროსი.
45. **ცხომელიძე ნინო თევდორეს ასული** — კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კაბინეტის გამგე.
46. **წერეთელაშვილი ევგენია ოსიპის ასული** — კაბის რაიონული საავადმყოფოს ფერშალი.
47. **წითლანაძე ვლადიმერ გიორგის ძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.
48. **ჭალადანიძე შალვა ნესტორის ძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.
49. **ჭაჭიაშვილი ანა ბარამის ასული** — ახალციხის ქვანახშირის ტრესტის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის ექიმი — თერაპევტი.
50. **ხერხეულიძე ნაბალია გალოს ასული** — გორის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგე.
51. **ჯიოევა ანა ზაქარიას ასული** — ამბულატორიის ექიმი, ჯავის რაიონის სოფელი წონა.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ამაშუკელი ვიქტორ ირაკლის ძე** — ტყიბულეთის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გორის რაიონის სოფელი მინდიანი.
2. **ანტონოვა ვერა თევდორეს ასული** — კურორტ გუდაუთის პოლიკლინიკის ლაბორანტი.
3. **ბადრიძე ქეთევან დიმიტრის ასული** — სამგორის რაიონის სოფელ მარტყოფის საექიმო უბნის გამგე.
4. **ბაზალი ვარლამ ილიას ძე** — ყაზბეგის რაიონის მთავარი ექიმი.
5. **ბერიაშვილი თამარ ზაქარიას ასული** — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „ზეკარის“ განყოფილების გამგე.
6. **ბიჭიკაშვილი ოლღა იოსების ასული** — კაბისის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის ექიმი — სტომატოლოგი, ჯავის რაიონი.
7. **ბურდული სოფიო ტარასის ასული** — დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის ამბულატორიის გამგე.
8. **გაგლოევა ნიორა ზაქარიას ასული** — საუბნო საავადმყოფოს მედიცინის და — ზნაურის რაიონის სოფელი წნელისი.
9. **გოგიტაშვილი ილია დავითის ძე** — საუბნო საავადმყოფოს გამგე, ხაშურის რაიონის სოფელი ქვიშხეთი.
10. **დავითულიანი ელენე ანტონის ასული** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო განყოფილების ფერშალი.
11. **დვალი ივანე ეპიფანეს ძე** — თეთრი წყაროს რაიონის მთავარი ექიმი.
12. **დოლიძე ვახტანგ ეპიფანეს ძე** — ადიგენის რაიონის მთავარი ექიმი.
13. **დუმბაძე ლეილა ვლადიმერის ასული** — საქალაქო საავადმყოფოს ექიმი — ინფექციონისტი, ქალაქი ტყვარჩელი.
14. **დუშუაშვილი დიმიტრი გიორგის ძე** — ხობის რაიონის მთავარი ექიმი.
15. **ელოვეცკაია პოლინა პავლეს ასული** — ქალაქ თბილისის მე-17 პოლიკლინიკის ექიმი ქირურგი.
16. **ერგემლიძე აკაკი ტრიფონის ძე** — ქალაქ თბილისის მე-2 პოლიკლინიკის მორიგე ექიმი.
17. **ვარდანია ეკატერინე მელიტონის ასული** — ქალაქ ტყვარჩელის სამედიცინო სანიტარიული ნაწილის ექიმი — თერაპევტი.
18. **ზღუდაძე ალექსანდრე მიხეილის ძე** — ლანჩხუთის რაიონის მთავარი ექიმი.
19. **ზუხბა ლიდია საიდის ასული** — გუდაუთის რაიონის. სოფელ დვანდურის საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე.
20. **თავბერიძე ივანე დომენტის ძე** — ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ფერშალი.
21. **თურმანიძე მარიამ ნიკოლოზის ასული** — ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის ამბულატორიის ექიმი — სტომატოლოგი.
22. **ივაკინა ანა ივანეს ასული** — გაგრის საკურორტო პოლიკლინიკის ექიმი.
23. **ინწკირველი მერი ისიდორეს ასული** — ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მედიცინის და.
24. **კალოევა ელენე გაბრიელის ასული** — სამხრეთ ოსეთის ტუბერკულოზის დისპანსერის მთავარი ექიმი.
25. **კალანდარია ზინაიდა ანდრიას ასული** — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის და.
26. **კახიანი ვახტანგ ვლადიმერის ძე** — ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ რედაქტორის მოადგილე.
27. **კვირიკაშვილი მარგალიტა დავითის ასული** — ქალაქ თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ფერშალი.
28. **კიკვი ადელინა ივანეს ასული** — გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის ბავშვთა სანატორიუმის ექიმი — ორდინატორი.
29. **კიკნაძე ქეთევან ნიკოლოზის ასული** — ჭიათურის საქალაქო საავადმყოფოს ექიმი — გინეკოლოგი.
30. **კოზლოვა ელისაბედ არტემის ასული** — მარნეულის რაიონული საავადმყოფოს ექიმი — ინფექციონისტი.
31. **კონდაკოვი გიორგი ივანეს ძე** — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მაძიებელსაშენის გამგე, ქალაქი სოხუმი.
32. **ლაბაძე გიორგი ივანეს ძე** — უბნის ექიმი, ლაგოდეხის რაიონის სოფელი ცოდნისკარი.
33. **ლაგვილავა ვარლამ იაკობის ძე** — ონაჰარის რაიონის ჯგერდის სასოფლო საავადმყოფოს ფერშალი.
34. **ლეკიშვილი ეკატერინე ალექსის ასული** — თელავის რაიონის სამშობიარო სახლის ექიმი — ორდინატორი.
35. **მამრიკაშვილი ქეთევან დიმიტრის ასული** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს სანატორიუმ „წყალტუბოს“ უფროსი მედიცინის და.
36. **მარჭაროვი სერგი მიხეილის ძე** — ქალაქ თბილისის პირველი ვენეროლოგიური დისპანსერის განყოფილების გამგე.
37. **მამუჩიშვილი ლუბა ივანეს ასული** — კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების უფროსი მედიცინის და.
38. **მახარაძე ეთერ დავითის ასული** — საამქროს ექიმი.
39. **მემანიშვილი დიმიტრი შალვას ძე** — ბოგდანოვკის რაიონის მთავარი ექიმი.
40. **მიქაელიანი სურენ სერგის ძე** — სასოფლო საავადმყოფოს ექიმი, ახალქალაქის რაიონის სოფელი ოკამი.
41. **მსახურაძე შალვა დემურალის ძე** — შუახევის რაიონის სოფელ ბარათულის ამბულატორიის ექიმი.
42. **ნადირაშვილი ზემფირა გიორგის ასული** — რუსთავის ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე.
43. **ნამიჩეიშვილი მიხეილ სიმონის ძე** — სამტრედიის კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი.
44. **ნარეშელაშვილი გიორგი ბესარიონის ძე** — კურორტ ბორჯომის სანატორიუმ „ფირუზის“ მთავარი ექიმი.
45. **რაზმაძე ელისო მიხეილის ასული** — დმანისის რაიონის რაიონული საავადმყოფოს ეპიდემიოლოგის თანაშემწე.
46. **საენკო მარიამ პავლეს ასული** — ქალაქ თბილისის 1-ლი პოლიკლინიკის ექიმი — რენტგენოლოგი.
47. **საყვარელიძე დავით სიმონის ძე** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის ასისტენტი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი.
48. **სალფაქაძე გერმანე ლაზარეს ძე** — ქობულეთის რაიონის სოფელ აჭის საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე.
49. **სეფაშვილი ქეთევან დავითის ასული** — ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის უბნის ექიმი.
50. **სულთანიშვილი ანა სოკრატეს ასული** — თიანეთის რაიონის საავადმყოფოს ექიმი — თერაპევტი.
51. **ტაბატაძე ვახვილოდ ვლასას ძე** — ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმი.
52. **ტერსენოვი გიორგი ჰარლამპეს ძე** — წალკის რაიონული საავადმყოფოს რენტგენოლოგიის კაბინეტის გამგე.
53. **ტურნოვსკაია კლავდია ალექსანდრეს ასული** — რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და, ქალაქი თბილისი.
54. **ფეტელავა ბართლომე ვასილის ძე** — საუბნო საავადმყოფოს ექიმი, ბალის რაიონის სოფელი ოტობაია.
55. **ქათამაძე ეთერ მამედის ასული** — ქობულეთის რაიონის სოფელ ზინოს საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე.
56. **ქერია ნინო სპირიდონის ასული** — ცხაკაიას რაიონული საავადმყოფოს ექიმი — თერაპევტი.
57. **ყიფიანი შუშანა ნესტორის ასული** — ჰოსპიტლის უფროსი მედიცინის და.
58. **ყურაშვილი ბერტა ბორისის ასული** — ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი — პედიატრი.
59. **შაინიძე ზურაბ ახმედის ძე** — ხულოს რაიონის ყინჩაურის საუბნო საავადმყოფოს ფერშალი.
60. **შანთაძე ოთარ ხასანის ძე** — საუბნო საავადმყოფოს ფერშალი, ხულოს რაიონის სოფელი ვიკეთი.
61. **შერვაშიძე ოლღა ვარლამის ასული** — რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი, ქალაქი სოხუმი.
62. **ჩეკურიშვილი იათამზე ადამის ასული** — თიანეთის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში.
63. **ჩოფიკაშვილი ოლღა სტეფანეს ასული** — ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს ეპიდემიოლოგის თანაშემწე.
64. **ჩხეიძე ბორის ზვენის ძე** — ტუბერკულოზის სანატორიუმის „ლიბანის“ მთავარი ექიმი, ბორჯომის რაიონი.
65. **ჩხეტია იპოლიტე მიხეილის ძე** — კურორტ მენჯის სანატორიუმ „კოლხეთის“ განყოფილების გამგე, ცხაკაიას რაიონი.
66. **ცაგარეიშვილი ვერა ივანეს ასული** — საქალაქო პოლიკლინიკის ექიმი — სტომატოლოგი, ქალაქი მცხეთა.
67. **ცოტაძე ეთერ იასონის ასული** — რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმი, ქალაქი სამტრედია.
68. **წივწივაძე დავით ილარიონის ძე** — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს ექიმი — თერაპევტი.
69. **ხალვაში ნიაზ მუსტაფას ძე** — ქედის რაიონის მთავარი ექიმი.
70. **ხეთაგუროვა ევგენია მიხეილის ასული** — ქალაქ სტალინირის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი.
71. **ჯალადანია ირინე ლეონტის ასული** — ქალაქ თბილისის მე-5 პოლიკლინიკის განყოფილების გამგე.
72. **ჯიქიძე ეთერ კაპიტონის ასული** — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

საერთაშორისო
დეკალუბი, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

გრანდიოზული მიტინგი კონაკრიში

კონაკრი, 11 თებერვალი, (საკდესი). დღეს 19 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით კონაკრის აეროდრომზე დაეშვა თვითმფრინავი „ილ-18“, რომელიც ჩამოიყვანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი.

აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე.

ლ. ი. ბრეჟნევმა პრეზიდენტ სეკუ ტურესა და გვინეელ ხალხს გადასცა საბჭოთა ხალხისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გულითადი, მეგობრული სალამი.

კონაკრი, 12 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით კონაკრიში გაიმართა საბჭოთა კავშირ-გვინეის მეგობრობის გრანდიოზული მიტინგი. ტრიბუნაზე იდგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე, ერეკნული კრების თავმჯდომარე საიფულაი დიალო.

მოედანზე იწყება ახალგაზრდობისა და გვინეის არმიის ჯარის ნაწილების პარადი.

მიტინგზე, რომელიც პარადის შემდეგ გაიმართა, სეკუ ტურემ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

გვინეაში, თქვენი ყოფნა, თქვა სეკუ ტურემ, მიმართა რა ლ. ი. ბრეჟნევს, წარმოადგენს თქვენი მთავრობის იმ პრინციპების განხორციელებას საგარეო ურთიერთობის დარგში, რომლებმაც სსრ კავშირი გადააქციეს ჩვენი ადამიანის უფლებების მუდმივ და თანამიმდევრულ დამცველად და ყველა ჩაგრული ხალხების ბუნებრივ მოკავშირედ.

სეკუ ტურემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა საერთაშორისო მასშტაბით გამოთქვა მსოფლიოს ყველა ჩაგრული ხალხის მხურვალე და საერთო მისწრაფება, დიდი სიმამაცით, გაბედულობით და სიმტკიცით იცავს იმ ხალხებისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი მინიჭების წმინდა საქმეს, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიური უღლის ქვეშ არიან.

გვინეის ხალხის სახელით სეკუ ტურემ განაცხადა, რომ გვინეის მთავრობა მხარს დაუჭერს საყოველთაო და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების, პოლიტიკას განიარაღებისა, რომლის მისაღწევად მოძრაობას მეთაურობს საბჭოთა მთავრობა.

მიესალმა რა შეკრებილთ მთელი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავისი სახელით, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„განსაკუთრებული სიამოვნებით გადმოგცემთ თქვენ გვინეის ხალხის დიდი მეგობრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მხურვალე სალამს, რომელმაც მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ საბჭოთა კავშირი იყო და კელავაც იქნება თავისუფალი გვინეის მხარეზე, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა თვის მებრძოლი ყველა ხალხის მხარეზე.

იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თქვა დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა, „მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირი და გვინეის რესპუბლიკა ხელიხელ ჩაკიდებული არიან მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან. ჩვენი ხალხების მეგობრობა ეყრდნობა კეთილშობილურ მიზნებს, დაე ამ მეგობრობის წმიდათა წმიდა ციცხლმა და მისმა კეთილშობილურმა მიზნებმა გული დაუთბოს ჩვენი ორი ქვეყნის ადამიანებს, კიდევ უფრო შეაკავშიროს ისინი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

სეკუ ტურესა და ლ. ი. ბრეჟნევს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვები ‘მქუხარე ტაშით. პრეზიდენტი სეკუ ტურე აჯილდოვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ორდენით „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი“.

მე ვიღებ ამ ჯილდოს, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, როგორც ჩვენი ხალხების მეგობრობის სიმბოლოს. ეს ჯილდო იმის გამოხატულებაა, რომ თქვენი ხალხი აფასებს იმ მოღვაწეობას, რომელსაც ჩვენი ხალხი, საბჭოთა მთავრობა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ეწევიან მშვიდობისათვის და სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. ამ თქვენ კეთილ გრძნობას მე გადავცემ საბჭოთა ხალხს, გმადლობთ მაღალი ჯილდოსათვის.





ერთვნული
ბიბლიოთეკა

მარად ერთად, მხარდამხარ

დღეს სრულდება თერმეტი წელი მას შემდეგ, რაც ორმა დიდმა ქვეყანამ — სსრ კავშირმა და სახალხო ჩინეთმა, — ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ამ ხელშეკრულებამ, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, კიდევ უფრო დააახლოვა ორი დიდი მოძმე ხალხი, ახლა საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის მეგობრობა გახდა მთელი იმ ძალების ურყევი ბურჯი, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

განვლილი თერთმეტი წელი თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა მტკიცე და ურღვევია იმიტომ, რომ მას საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემის, ძმური ურთიერთდახმარების, ერთმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინური პრინციპები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის ღრმა ერთგულება.

საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის მეგობრობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის შემდგომ განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა ის სიმაგრეა, რომელზეც დაიმსხვრევა ყველა ოინი იმპერიალისტური წრეებისა, რომელნიც გულში ატარებენ ბოდვითს ოცნებას სოციალიზმის მძლავრი ბანაკის გათიშვის შესახებ.

თვალს ავლებენ რა თერმეტი წლის განმავლობაში განვლილ გზას, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების იდეებმა გამოხატულება ჰპოვა მრავალი სახელოვანი საქმით.

საბჭოთა ხალხი ამაყობს შესანიშნავი წარმატებებით, რომლებიც ჩინელმა მეგობრებმა მოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანებმა, იცან, რომ ჩინელი ხალხი თავისი ნაცადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით გადაწყვეტს მის წინაშე მდგომ გრანდიოზულ ამოცანებს — სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანებს.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხები, მძლავრი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხები მტკიცე ნაბიჯით, მხარდამხარ მიდიან თავიანთი ბედნიერი მომავლისაკენ. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ დიადი ძმური კავშირის შერყევა.

• • •

სურათებზე: (ზევიდან ქვევით) ძველი ფოშანი უკანასკნელ წლებში ლამაზი ახალი სამოსით დამშვენდა; ხესის ბეტონის ნაწარმის ქარხნის (შანხაის პროვინცია) მუშა-მოსამსახურეებმა ააგეს კიდული გზა ბეტონის ტრანსპორტირებისათვის, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება;

ახლო მომავალში ჩინური იეროგლიფური დამწერლობა ალფაბეტით შეიცვლება. ახლა მთელ ჩინეთში მიმდინარეობს მზადება ალფაბეტზე გადასვლისათვის. სურათზე თქვენ ხედავთ თუ როგორ სწავლობენ დიასახლისები ალფაბეტს.

ვ. ა. ზორინის წერილი

ჰამარშელდისადმი

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი, (საკდესი). 10 თებერვალს სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ საჭიროა უსწრაფესად შემოწმდეს პრესის მიერ გავრცელებული ცნობები კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას მოკვლის შესახებ.

„ჩვენ, ისევე როგორც უშიშროების საბჭოს სხვა წევრები, — ნათქვამია წერილში, — ფრიად შეშფოთებული ვართ ამ ცნობებით იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელსაც ბ-ნი ლუმუმბა ასრულებს როგორც გამოჩენილი ეროვნული ლიდერი, რომელიც სათავეში უდგა კონგოელი ხალხის ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის.

სსრ კავშირის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოელის, რომ თქვენი მხრივ დაუყოვნებლივ იქნება მიღებული ყველა საჭირო ღონისძიება, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არხების საშუალებით შემოწმდეს კონგოში და, კერძოდ, კატანგაში, ყველა ცნობა ბ-ნ ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების ბედის შესახებ, იმ მიზნით, რომ უშიშროების საბჭოს წევრებს დაუყოვნებლივ ეცნობოს ეს“.

ამავე დროს, ათი ქვეყნის — ცეილონის, განის, გვინეის, ინდოეთის, ინდონეზიის, ლიბიის, მალის, მაროკოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა ჰამარშელდს გაუგზავნეს ერთობლივი წერილი, რომელშიც აგრეთვე დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბასა და მისი ორი თანამებრძოლის ბედისათვის, რომლებიც კატანგის საპყრობილეში იყვნენ, და მოითხოვენ, რომ გენერალურმა მდივანმა დაუყოვნებლივ შეამოწმოს ხმები მათი მოკვლის შესახებ.

„ჩვენ ვშიშობთ, — ნათქვამია ამ წერილში, — რომ ცნობები ბ-ნი ლუმუმბას გაქცევის შესახებ, შესაძლოა, შენიღბვაა, და, შესაძლოა, ინსცენირებულია იმისთან დაკავშირებით, რომ ამზადებენ ცნობას მისი სიკვდილის შესახებ.

საკირო არ არის გავიმეოროთ ჩვენი შიში, იმის გამო, რომ ბ-ნ ლუმუმბას და მისი ამხანაგების ლიკვიდაციას სერიოზული შედეგები მოჰყვება კონგოსათვის და კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისათვის“.

ჰამარშელდმა აცნობა, რომ მან ასეთი დაკვალება მისცა თავის სპეციალურ წარმომადგენელს კონგოში დაიალს.

უცხოეთის საგენტოები ლუმუმბას გედის შესახებ

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი, (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ლუმუმბას ჯალათების ვერსიას იმის შესახებ, რომ იგი გაიქცა, აშკარა უნდობლობით შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები და დიპლომატიური წრეები კონგოში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ელიზაბეტვილში განაცხადა, რომ, როგორც ისინი იფიქრობენ, ლუმუმბა მოკლულია და გაქცევის ისტორია არის ხერხი, რომელსაც მიმართავ კატანგის მთავრობამ — კონგოს ლიდერის დაუძინებელმა მტერმა.

ელიზაბეტვილში გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ კატანგის მთავრობა მალე გამოაცხადებს, რომ ლუმუმბა მოკლეს, როცა შეხვდა კატანგის პატრულს, რომელიც მას ეძებდა და გაქცევა სცადა...

დასავლეთის ერთმა საქმის კარგად გაცნობილმა დიპლომატმა განაცხადა, რომ ყველაზე, საიმედო წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ლუმუმბა და მისი ორი ამხანაგი სიცოცხლეს გამოასალმეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გამოქვეყნდებოდა ცნობა მათი გაქცევის შესახებ“.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

სსრ კავშირის მთავრობის პროტესტზე საფრანგეთის მთავრობის პასუხთან დაკავშირებით

11 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული დე ლა გრანჟი და გაუკეთა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა მთავრობა ურად იღებს სინანულს, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გამოთქვა თავის 10 თებერვლის პასუხში სსრ კავშირის მთავრობის პროტესტზე იმასთან დაკავშირებით, რომ ამა წლის 9 თებერვალს საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავი ავაზაკურად თავს დაესხა სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის „ილ-18“ თვითმფრინავს, რომელშიც იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად უარყოფს საფრანგეთის მთავრობის ცდებს გაამართლოს საფრანგეთის სამხედრო ავიაციის ეს ავაზაკური მოქმედება საბჭოთა თვითმფრინავის მიმართ და გაამართლოს ამ არაჩვეულებრივი პროვოკაციის დამნაშავეები“.

იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის მთავრობის პასუხი შეიცავს მტკიცებას, თითქოს „ილ-18“ საბჭოთა თვითმფრინავმა გადაუხვია დადგენილ მარშრუტს, საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ნათქვამია:

„საფრანგეთის მთავრობამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმები ითვალისწინებენ თავისუფალ ფრენას გაშლილი ზღვის თავზე საჰაერო სივრცეში, და არც ერთ სახელმწიფოს, თუ მას არ სურს აღმოჩნდეს საერთაშორისო კანონების დამრღვევი, უფლება არა აქვს შეზღუდოს ეს თავისუფლება და თვითნებურად უკარნახოს სხვა სახელმწიფოთა თვითმფრინავებს რაღაც მარშრუტები საერთაშორისო წყლებზე“.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, ხაზგასმულია, რომ საბჭოთა თვითმფრინავი მიდიოდა ზუსტად კურსის მიხედვით, მელიც ცნობილი იყო საფრანგეთის ხელისუფალთათვის და იცავდა დროის დადგენილ გრაფიკს. გარდა ამისა, საბჭოთა თვითმფრინავს რადიოკავშირი ჰქონდა ქ. ალჟირის აეროპორტთან და, მაშასადამე, საფრანგეთის ხელისუფლებმა კარგად იცოდნენ, ვისია ეს თვითმფრინავი. საბჭოთა თვითმფრინავი მიფრინავდა დღისით და განათებული იყო მზის სხივებით, მასზე ნათლად ჩანდა დიდ მანძილზე სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის გამოსაცნობი ნიშნები.

„ბოლოს, — ნათქვამია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, — როდის აქვთ არის თვითმფრინავის „გამოცნობის“ საშუალება სროლის ატეხა, როგორც ეს ჩაიდინა საფრანგეთის ავიაგამანადგურებელმა, რაც პირდაპირ აღიარებულია საფრანგეთის მთავრობის პასუხში?“.

ამრიგად, ნათქვამია განცხადებაში, საფრანგეთის ავიაგამანადგურებლის უპრეცედენტო თავდასხმა სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავზე საერთაშორისო წყლების თავზე სხვა არა არის რა, თუ არა საერთაშორისო ბანდიტიზმის აქტი, რომელიც საფრანგეთის სამხედრო ავიაციამ ჩაიდინა. ასეთი მოქმედების დაფარვა და მისი დამნაშავეების გამართლება სარისკო გზაა.

„საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის მოთხოვნას, რომ დაისაჯონ „ილ-18“ საბჭოთა თვითმფრინავზე თავდასხმის დამნაშავეები, მიღებულ იქნეს ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ მომავალში ამგვარი პროვოკაციების განმეორების შესაძლებლობას, და ეცნობოს მას შედეგები“. (საკდესი).

გვინეის მთავრობის პროტესტი

კონაკრი, 12 თებერვალი, (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის მთავრობამ პროტესტი განუცხადა საფრანგეთის იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავი თავს დაესხა „ილუშინ-18“ თვითმფრინავს, რომელზეც იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

გვინეის რესპუბლიკის მთავრობამ, ნათქვამია ამ პროტესტში, აღშფოთებით შეიტყო, რომ საფრანგეთის კოლონიალისტური არმიის სამხედრო თვითმფრინავი თავს დაესხა „ილუშინ-18“ თვითმფრინავს, რომელზეც იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მეგობრობის ვიზიტად მიემგზავრებოდა გვინეის რესპუბლიკაში, და ენერგიულ პროტესტს აცხადებს ამ შეუწყნარებელი აქტის წინააღმდეგ, რომელიც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მთავრობა ყოველთვის მტრულად ეკიდება საერთაშორისო დაძაბულობის ყოველგვარ შენელებას, თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

ეს უგუნური აქტი, აღნიშნულია პროტესტში, მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გვინეის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლის საპატიო სტუმარიც არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. იგი მოწმობს, თუ რა აბნეულობაა კოლონიურ და იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, რასაც ის იწვევს, რომ აფრიკის ხალხებსა და მსოფლიოს სხვა ხალხებს შორის ვითარდება ურთიერთობა თანასწორუფლებიანობისა და მათი სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის ბაზაზე.

გვინეის რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია პროტესტში, თუ არ ზღუდავ არ დასაჯეს ის ბირნი, რომელთაც ბრალად ედებათ ეს მტრული და უხეში აქტი, აპირებს ყველა დასკვნა გამოიტანოს საფრანგეთის მთავრობასთან თავის ურთიერთობაში.

კოლონიზატორთა სისხლიანი დანაშაული

მოკლეს ლუმუმბა

პარიზი, 13 თებერვალი. (საკდესი). ტელეგრაფმა მოიტანა სამწუხარო ამბავი — ბელგიელ კოლონიზატორთა აგენტებმა მოკლეს კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს ელიზაბეტვილელი კორესპონდენტი იუწყება, კატანგის მარიონეტული „მთავრობის“ შინაგან საქმეთა „მინისტრმა“ მუნონგომ დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ პატრის ლუმუმბა, თავდაცვის მინისტრი და ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი მორის მპოლო და კონგოს სენატის თავმჯდომარე ეოზეფ ოკიტო მოკლულ იქნენ კატანგის ერთ-ერთ პატარა სოფელში.

მუნონგო ამტკიცებდა, რომ თითქოს მკვლელობა ჩაიდინეს იმ სოფლის მცხოვრებლებმა, რომლის სახელწოდების გამხელაზე მან უარი განაცხადა, და თქვა, რომ ამ სოფელს აუნაზღაურებდა გასამრჯელო 8 ათასი დოლარი, რომელიც კატანგის „მთავრობამ“ აღუთქვა ლუმუმბასა და მისი ორი ამხანაგის აღმოსაჩენად. ლუმუმბას, მპოლოსა და ოკიტოს გვამები, მუნონგოს სიტყვით, გამოიცნო ჩამბეს „მთავრობის“ სამმა მინისტრმა და ისინი ადგილზევე დამარხეს, თუ სად, ამას არავის აცნობებენ, რათა იქ „არ დაიწყონ სალოცავად სიარული“.

მუნონგომ ცინიკურად განაცხადა, რომ მისთვის „ლუმუმბას სიკვდილი არ იყო მოულოდნელი“. ამ ჯალათმა, რომელიც, ალბათ, პირადად ხელმძღვანელობდა კონგოელი ხალხის ეროვნული გმირისათვის ანგარიშის გასწორებას, თვითონვე საკმაოდ ცინიკურად, ამაყობდა, რომ მთელი ვერსია ლუმუმბასა და მისი ამხანაგების „გაქცევის“ შესახებ გამოგონილ იქნა იმ მიზნით, რომ დაემალათ ლუმუმბას ფიზიკური მოსპობა.

პატრის ლუმუმბას, მორის მპოლოსა და ეოზეფ ოკიტოს მკვლელობა განხორციელდა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული ჩამბეს, მობუტუ-კასავუბუს ხროვას, ბელგიის მთავრობასა და ბელგიის მონოპოლიებს შორის. მალის პრეზიდენტი მოდიბო კეიტა ამასწინანდელ განცხადებაში აბრობდა, რომ ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს ყოფილი საფრანგეთის კონგოს პრეზიდენტმა ფიულბერ იულუმ მოაწყო მობუტუს „გენერალურ კომისართა საბჭოს“ წარმომადგენლისა და საფრანგეთის გაერთიანების გენერალური მდივნის ფოკარტის შეხვედრა. ფოკარტის მეშვეობით, თქვა მოდიბო კეიტამ, „ბომბოკომ კონტაქტი დაამყარა სპაკთან, „კომპანი ფენერალ დიუ კონგოს“ დელეგაციასთან და როტშილდთან. ბელგიელებმა და კონგოში ამ საერთაშორისო კომპანიის სხვა აქციონერებმა კასაბლანკაში მიღებული რეზოლუციების შემდეგ გადაწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ მოეწესრიგებინათ ლუმუმბას პრობლემა კონგოს პრემიერ-მინისტრის ფიზიკური მოსპობის გზით“.

კოლონიზატორთა მიერ შემუშავებული გეგმა, აღნიშნა შემდეგ კეიტამ, ითვალისწინებდა მოეწყოთ ლუმუმბას განმეორებითი გაქცევა, რათა საშუალება მიეცათ დაჭრილებული მკვლელებისათვის, რომლებსაც ბრიუსელიდან უბრძანეს ფულს, განეხორციელებინათ თავიანთი სისხლიანი დანაშაული.

პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბასათვის სისხლიანი ანგარიშის გასწორება მოწმობს იმას, რომ არ არის ისეთი დანაშაული, რომელსაც არ ჩაიდენენ კოლონიზატორები კონგოში თავიანთი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მაგრამ მათი ყველა ვარაუდი ამაოა. პატრის ლუმუმბას სიკვდილი კი არ შეაჩერებს, არამედ პირიქით, გააძლიერებს კონგოელი ხალხის მზარდ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ბრიუსელის სათამაშო, ანუ მოუუეტუ სალაშქროდ ამხედრდა.

ნახ. მ. ოთაროვისა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **თეთრმა სახლმა** გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი კენედი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი 5 და 6 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან ვაშინგტონში არაოფიციალური მოლაპარაკებისათვის.

☐ **ვატიკანის** „საღმრთო კანცელარიის კონგრეგაციამ“ (ინკვიზიცია). კათოლიკური ეკლესიის ყველა ეპისკოპოსს გაუგზავნა ცირკულარი, რომელიც უკრძალავს საგაზეთო კიოსკების მფლობელ კათოლიკეებს გაყიდონ მემარცხენე და ანტირელიგიური გაზეთები და ჟურნალები ვატიკანის განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლადვინც ამ აკრძალვას დაარღვევს, ემუქრება ეკლესიისაგან განკვეთა.

☐ **ტოკიოში** გრიპის გამო უკვე დაიხოცა 19 კაცი. გრიპით დაავადების განსაკუთრებით ბევრი შემთხვევაა ბავშვებს შორის. დედაქალაქში დახურულია 6 ათასზე მეტი სასკოლო კლასები და ნახევარზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა და კოლეჯი.

☐ **როგორც** რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი კატანიიდან (სიცილია) იუწყება, აქ კვლავ მძლავრად ამოხეთქა ეტნის ვულკანმა.

☐ **სინგაპურიდან** იუწყებიან: იქ ნაპირიდან 40 მილზე ზღვაში ჩავარდა ინგლისის ფლოტის სამხედრო თვითმფრინავი.

მამაცი კაპიტნის გამოსვლა

ჯაკანა, 11 თებერვალი. (საკდესი). როგორც პრესა ლატინის საგენტოს კორესპონდენტი რესიფედან (ბრაზილია) იუწყება, პერნამბუკოს შტატის საკანონმდებლო ასამბლეამ გუშინ საზეიმო ვითარებაში მიიღო პორტუგალიელ აჯანყებულთა ხელმძღვანელი კაპიტანი ენრიკე გალვაო.

თავის გამოსვლაში მიღებაზე გალვაომ ილაპარაკა პორტუგალიაში ამჟამად გამეფებულ ტერორზე. მან განაცხადა, რომ ფრანკო ესპანეთში და სალაზარი პორტუგალიაში დიდხანს ვეღარ დარჩებიან, რადგან ორივე დიქტატორის მოწინააღმდეგეთა შორის მყარდება პოლიტიკური ერთიანობა.

გალვაოს გამოსვლის დაწყების წინ უმცირესობის ლიდერმა კოსტამ განაცხადა, რომ შტატის საკანონმდებლო ასამბლეისათვის გალვაოს ვიზიტი, რომელსაც მან „პორტუგალიელი ხალხის წარმომადგენელი პოლიტიკოსი“ უწოდა, დიდი პატივია.

გალვაო, რომელმაც მიიღო ბრაზილიის მთავრობის წინადადება თავშესაფარის მიცემის შესახებ, საკანონმდებლო ასამბლეაში პოვიდა რამდენიმე პორტუგალიელი აჯანყებულის თანხლებით, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ ლაინერ „სანტა მარიას“ დაპყრობაში,

ნინ არის დიდი პრობლემები

რასკის განცხადება

პასუხად კითხვაზე, რა მნიშვნელობას ანიჭებს იგი საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების პრობლემას, რასკმა განაცხადა: „ჩვენ ახლა რამდენიმე დიდი სადავო საკითხი გვაქვს საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ჩვენ გვაქვს ბევრი შესაძლებლობა დავამყაროთ კონსტრუქციული ურთიერთობა უფრო პატარა საკითხებზე. დიდ პრობლემებს უნდა მივუდგეთ პატიოსნად და რწმენით, მაგრამ უნდა ვეცადოთ აგრეთვე ვიპოვოთ ეს უფრო პატარა საკითხები, რომელთა მეშვეობით შეეძლებთ განვახორციელოთ საერთო ინტერესებისათვის ერთობლივი კონსტრუქციული მოქმედება, რაც გააუმჯობესებს საერთო ვითარებას, რომელშიც შესაძლებელი იქნება უკეთ გადავწყვიტოთ დიდი პრობლემები“, რასკმა შემდეგ განაცხადა, რომ, მისი აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს აქვთ თუნდაც ერთი საერთო ნამდვილი სურვილი — თავიდან აიცილონ დიდი ატომური ომი“. „მაგრამ ვფიქრობ, — თქვა მან. — რომ ჩვენს წინაშე უახლოეს მომავალში დგას ავრეთვე მრავალი ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხი, რომლებზეც შეგვიძლია მივაღწიოთ კონსტრუქციულ თანამშრომლობამდე“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუმცა ეს საკითხები გადამწყვეტი არ არის, მაგრამ ისინი „დაკავებენ ადამიანებს განვამტკიცოთ ნდობა და ურთიერთ ინტერესი, რომლებიც საშუალებას მოიტანენ უფრო მორეულ მომავალში“.

რასკი შეეხო უმაღლესი დონის თათბირის მოწვევის პრობლემას და განაცხადა, რომ „უმაღლეს დონეზე პირადი კონტაქტების დიპლომატიის ხანგრძლივი ისტორია არ მოწმობს, რომ ეს იყო მრავალი წლის განმავლობაში დიპლომატიის ყველაზე ნაყოფიერი მეთოდი“. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ დიპლომატიის ჩვეულებრივი არხები. მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა მივუდგეთ ამას დოგმატურად და უნდა გამოვიყენოთ დიპლომატიის ყველა შესაძლო საშუალება, რათა დავიცვათ ეროვნული ინტერესები და ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას“. „შესაძლოა, — ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, — სასარგებლო და საჭირო იყოს, რომ დროდადრო ხელმძღვანელი პირები ხვდებოდნენ ერთმანეთს და პირადად და უშუალოდ განიხილავდნენ ყველა საკითხს“.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიზიდვა საერთაშორისო მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ და როგორია შეერთებული შტატების მიერ მისი ცნობის პერსპექტივები, რასკმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს „ვერავითარ პერსპექტივებს, რომ კომუნისტური ჩინეთის ცნობა რეალისტურად შესაძლებელი ან სასურველი იყოს“. მაგრამ მან იქვე დასძინა, რომ ყოველი შეთანხმება განიარაღების შესახებ არ იქნება რეალისტური, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო ყველამ, ვისაც თავის განკარგულებაში ჰყავს მძლავრი შეიარაღებული ძალები“.

ვერ შეთანხმდნენ

პარიზი, 11 თებერვალი. (საკდესი), ილეოს მარიონეტული „მთავრობა“, რომელიც ეს-ეს არის სასწრაფოდ შეკოწიწდა კონგოელი ხალხის მოღალატეებისაგან, უკვე ირღვევა.

ფრანს პრესის საგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტის ცნობით, ამ „მთავრობის“ ორი მინისტრი გადადგა: განათლების მინისტრი ბიზიალა და შრომის მინისტრი კიმვაიი. როგორც ჩანს, აღნიშნავს კორესპონდენტი, ისინი მინისტრებად დაინიშნენ მათი წინასწარი თანხმობის მიუღებლად და აღმოჩნდნენ მომხდარი ფაქტის წინაშე.

კომუნისტი
№ 3 ბევრდი, სამშაბათი,
14 თებერვალი. 1961 წ.

კომუნისტი
№ 11 (10 000)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნება—ხალხს

თბილისში სამხატვრო სალონის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 19) გაიხსნა მოკავშირე რესპუბლიკების სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა-ბაზრობა.

ამ გამოფენას მართავს სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის ცენტრალური სალონი, რომელიც გასული წლის მაისში გაიხსნა მოსკოვში და დედაქალაქის მცხოვრებთა მხურვალე მოწონება დაიმსახურა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის ცენტრალური სალონის დირექტორმა ი. ნ. ზუბოკმა განაცხადა:

— ჩვენი მთავარი მიზანია დაენერგოთ ყოფაცხოვრებაში ხელოვნების მაღალმხატვრული, მაღალხარისხოვანი ნაწარმოებები.

საბჭოთა ადამიანები ყოველწლიურად სულ უფრო უკეთ ცხოვრობენ, ისინი სახლდებიან ახალ ბინებში, მიისწრაფიან მოაწყონ ხალისიანი, თვალისა და გულისათვის სასიამოვნო თანამედროვე ინტერიერი. ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ მათ ამ საქმეში.

ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის თვითეული მოკავშირე რესპუბლიკას, თვითეულ მოძმე ხალხს აქვს თავისებური განუმეორებელი, მშვენიერი ეროვნული ხელოვნება. და თქვენ არ მეგიხდებათ შორს წასვლა იმისათვის, რომ დაათვალიეროთ საბჭოთა ხალხების მრავალფეროვანი ხელოვნების ნიმუშები, არ მოგიხდებათ ესტონეთში წასვლა, რათა იყიდოთ მოხდენილი ესტონური მოსახვევი თუ ხელსახოცი, ან. ბელორუსული თოჯინა ან ტყავისაგან გაკეთებული ლამაზი ნივთი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ან. უკრაინული კერამიკული ნაწარმი, აჩუქოთ თქვენს მეგობარს რომელიმე ცნობილი მხატვრის საუკეთესო ესტამპი, ეტიუდი თუ გრავიურა.

სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის ცენტრალურ სალონს მოსკოვში რამდენიმე ფილიალი აქვს. ისინი მოწყობილია დიდ საწარმოებში, მოსკოვის უნივერსიტეტში, მეტრომშენის კულტურის სასახლეში პოლიტექნიკურ მუზეუმში. მოკავშირე რესპუბლიკათა შორის კი გადავწყვიტეთ პირველად საქართველოში გაგვეხსნა ჩვენი გამოფენა-ბაზრობა. ჩვენ მოგვიზიდა მზიურმა თბილისმა, ამ დიდმა კულტურულმა და სამრეწველო ცენტრმა, ყოველივე ახლის მოყვარულმა, მადლგამოვნებებიანმა ქართველმა ხალხმა.

მოკავშირე რესპუბლიკების სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა-ბაზრობა

ჩვენს გამოფენაზე წარმოდგენილია სსრ კავშირის ათი მოკავშირე რესპუბლიკის — რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მხატვართა ნაწარმოებნი. გამოფენის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ექსპონატები ძირითადად იქმნება თვითეული რესპუბლიკის სამხატვრო ფონდების სისტემაში არსებულ საწარმოო-შემოქმედებითის ბაზებზე, მათ ქმნიან პროფესიული კავშირების წევრი ნიჭიერი მხატვრები, აგრეთვე ხალხური ხელოვნების მაღალპროფესიული ოსტატები.

მაყურებლებს გამოფენაზე შეუძლიათ შეიძინონ: მრავალნაირი კერამიკული ნაწარმი — საყოფაცხოვრებო და დეკორაციული; დეკორაციული ხალხური ხელოვნების ნიმუშები — ნოხების, საფენების, სუფრების, ხელსახოცების და გადასაფარებლების სახით, ხისა და ტყავის ნაწარმი, სადაფის, ვერცხლის, ლითონის სამკაულები, ახალი სინთეზური მასალების — პლასტმასების, ამინოპლასტებისაგან გაკეთებული სახავშვო სათამაშოები, ვაზები, ჯაღები და სხვა ნივთები. გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერისა და გრაფიკის განყოფილება, სადაც ექსპონირებულია მხატვართა მიერ შესრულებული ეტიუდები, პეიზაჟები და ნატურმორტები, ესტამპები, ავტოლითოგრაფიები, გრავიურები, რომლებითაც შეიძლება შეიცვალოს ამჟამად ფართოდ გავრცელებული უხეირო რეპროდუქციები. აქვე უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაწარმოებები ლამაზ ჩარჩოებშია ჩასმული და სავსებით ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება.

გამოფენა თბილისში ერთ თვეს გასტანს, ხოლო შემდეგ აქ იმუშავებს ჩვენი სალონის მუდმივი ფილიალი.

* * *

სურათზე: გამოფენა-ბაზრობის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ხელოვნების ამბები

ყამირზე საგასტროლოდ

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედი საესტრადო ორკესტრი გაემგზავრა კუსტანაის ოლქში, სადაც 15 დღის განმავლობაში კონცერტებს გამართავს მეყამირეებისათვის.

სტუდენტთა საესტრადო ორკესტრის (ხელმძღვანელი ა. ოვანოვი) რეპერტუარშია ქართული ხალხური და თანამედროვე სიმღერები, საბჭოთა და საზღვარგარეთის კომპოზიტორების ნაწარმოებები.

მეგობართა კონცერტები

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმს საგასტროლოდ ესტუმრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი კომპოზიტორ ა. მეშადიბეკოვის ხელმძღვანელობით.

ეს საგასტროლო მოგზაურობა აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატებმა მიუძღვნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა აზერბაიჯანის ფილარმონიის, რადიოსა და ტელევიზიის სოლისტმა ა. განიევმა, რომელმაც დიდი ოსტატობით შეასრულა აზერბაიჯანული, არაბული და ინდური სიმღერები. წარმატება ხვდათ მოცეკვავეთა წყვილს ხ. მამედოვას და ი. აზიზოვს, მომღერალ ა. მადათოვას და სხვა საესტრადო ანარის მსახიობებს.

ხვარ
მზის დაბნელეგაა

მზის დაბნელება იშვიათი მოვლენაა. უკანასკნელად საქართველოდან ეფექტური მზის დაბნელება მოჩანდა 1954 წლის 30 ივნისს. ასეთივე მოვლენა გამეორდება 15 თებერვალს.

მზის დაბნელებაზე დაკვირვებისათვის. საჭიროა წინასწარ მოვამზადოთ გამურული მინა. ფანჯრის მინის ნატეხი უნდა გავაჭიროთ ისე, რომ მას სანთლის ან ლამფის (ჭრაქის) ბოლი ხვდებოდეს. როცა მინა საკმაოდ გაიმურება, ავიღოთ და გავიხედოთ მასში ისე, რომ მზე დავინახოთ. თუ მზე მოწითლო წრის სახით მოჩანს და თვალებს არ უძნელდება მასზე ცქერა, მაშინ გამურული მინა ვარგისია მზის დაბნელებაზე დაკვირვებისათვის.

გარდა გამურული მინისა, შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ფერადი მინა, რომელიც მზის სინათლეს ასუსტებს, ფერადი სათვალე და სხვა.

მზის დაბნელებაზე უშუალოდ ბინოკლით ან ტელესკოპით დაკვირვება არ შეიძლება, რადგანაც მზის სხივები ისე ძლიერად მოქმედებს, რომ თვალებს დაგვიწვავს. მხედველობა რომ არ დაგვიზიანდეს, საჭიროა მზის სხივები შევასუსტოთ ბნელი მინით.

მზის დაბნელებას იწვევს მზეზე მთვარის გადაფარება. 15 თებერვალს, თუ ცა მოწმენდილი იქნა, მზის დაბნელება დაახლოებით ასეთი სანახაგი იქნება: გამურული მინით შეიარაღებული დამკვირვებელი მზის დაბნელების დაწყების მომენტიდანვე შეამჩნევენ, რომ მზის მარჯვენა ნაპირზე გამოჩნდება შავი წერტილი, რომელიც თანდათანობით გაიზრდება და გაგრძელდება. 20-25 წუთის შემდეგ შესამჩნევი გახდება, რომ მზე თანდათანობით იფარება მისივე ზომის შავი წრით (დისკოთი). მზე იღებს ნამგლისებურ სახეს, რომელიც თანდათანობით ვიწროვდება. **12 საათსა და 20 წუთზე** მზე გამოჩნდება ძალზე ვიწრო ნამგლისებური სახით. მზის ზედაპირის თითქმის ცხრა მეათედი მთვარით იქნება დაფარული. შესამჩნევი გახდება მიწის ზედაპირის განათების შესუსტება და ჰაერის ტემპერატურის დაცემა. შემდეგ შავი წრე — მთვარე თანდათანობით გადავა მზის ზედაპირიდან და დაახლოებით **13 საათსა და 40 წუთზე დამთავრდება მზის დაბნელება.**

მზის დაბნელება მოჩვენებითია: სინამდვილეში მზის ზედაპირზე დაბნელებას ადგილი არა აქვს. სწორი იქნებოდა გვეთქვა — ხდება არა მზის დაბნელება, არამედ მზის დაფარვა მთვარით. მაგრამ გამოთქმა „მზის დაბნელება“ ტრადიციულად არის შემორჩენილი და ნიშნავს მთვარით მზის დაფარვას.

დედამიწა, მთვარე და მზე — სამივე ბერთისებრი სხეულია. მათ შორის მთვარე უფრო მცირეა, მისი დიამეტრი უდრის 3500 კილომეტრს; დედამიწისა კი — 12740 კილომეტრს, მზისა — 1 400 000 კილომეტრს.

მზე გავარვარებული სხეულია. მისი ზედაპირის ტემპერატურა 6 ათას გრადუსამდე აღწევს. ის ყოველი მიმართულებით აფრქვევს სხივებს, რომლებიც ათბობს და ანათებს დედამიწას, მთვარეს და სხვა სხეულებს.

მთვარე დედამიწიდან დაახლოებით 384 ათასი კილომეტრით არის დაშორებული, ხოლო მზემდე მანძილი 150 მილიონ კილომეტრს უდრის. მაშასადამე, მზე დედამიწიდან 400-ჯერ უფრო შორსაა, ვიდრე მთვარე.

დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, რაც იწვევს დღისა და ღამეს, აგრეთვე ცაზე ყველა მნათობის ხილულ მოძრაობას. დედამიწა მოძრაობს აგრეთვე მზის გარშემო ისე, რომ ყოველ წელიწადში ერთხელ შემოუვლის მას. მთვარე კი უვლის გარშემო დედამიწას და მიჰყვება მას (დედამიწას) მზის გარშემო მოძრაობაში. ამიტომ უწოდებენ მთვარეს დედამიწის თანამგზავრს.

მთვარე, დედამიწის მსგავსად, ბნელი სხეულია. მისი ზედაპირის ერთ ნახევარს მზის სხივები ანათებს, მეორე ნახევარზე კი სიბნელეა. მთვარე ისე უვლის დედამიწას გარშემო, რომ ზოგჯერ ის მზის მიმართულებით არის. ამ დროს მისი ჩვენკენ მოქცეული ნახევარსფერო გაუნათებელია და ამიტომ მთვარეს ცაზე ვერ ვხედავთ. შემდეგ მთვარე სცილდება მზის მიმართულებას, ე. ი. მზის მიმართულებასა და მთვარის მიმართულებას შორის არსებული კუთხე იზრდება. ამ პერიოდში მთვარის ჩვენკენ მოქცეულ ნახევრის სულ უფრო მეტ ნაწილს ხედავთ მზის სხივები და ამის მიხედვით გამოჩნდება ნამგლისებური მთვარე, რომელიც თანდათანობით იზრდება. როცა მთვარე მზის მოპირდაპირე მხარეზე მოექცევა, მაშინ ის სრული წრის სახით მოჩანს და მას საესე მთვარეს უწოდებენ. შემდეგ მთვარე ისევ მზის მიმართულებით მიდის, ჩვენკენ მოქცეულ ნახევარზე სიბნელე შემოიკრება, რის გამო საესე მთვარის წრეს თანდათანობით აკლდება დასავლეთ ნაპირიდან. უკანასკნელად მთვარე მიიღებს ნამგლისებურ სახეს და, ბოლოს, ვიწრო ნამგალა მთვარე იკარგება მზის სხივებში.

როცა მთვარე მზის მიმართულებით არის მაშინ, ის დედამიწასა და მზეს შუა გაივლის. ამ პერიოდში რომ შეგეძლოს მთვარეზე დაკვირვება, ცაზე დავინახავდით, რომ მთვარემ გაიარა მზის გვერდით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. ცის მნათობთა დღე-ღამური მოძრაობის შემხვედრი მიმართულებით. ცაზე მთვარის მზის გვერდით გავლას ახალმთვარობას უწოდებენ.

ახალმთვარობისას ზოგჯერ მთვარე პირდაპირ მზეზე გადაივლის, რაც მზის დაბნელებას იწვევს. ამ პერიოდში ჩვენზე გადმოიღლის მთვარის ჩრდილი. სწორედ ასეთ მოვლენას ეწინა ადგილი 15 თებერვალს.

მთვარის ჩრდილი ორნაირია: ცენტრალურ ნაწილში სრული ჩრდილია, ხოლო მის გარშემო ნაწილობრივი ჩრდილი. ვინც მთვარის სრულ ჩრდილში მოჰყვება, იხილავს მზის სრულ დაბნელებას, ხოლო ნაწილობრივ ჩრდილში მყოფნი დაინახავენ მზის ნაწილობრივ დაბნელებას.

1961 წლის 15 თებერვალს მთვარის სრული ჩრდილი პირველად მოხვდება დედამიწას ბისკაის აყურეში საფრანგეთის სანაპიროს მახლობლად, სადაც პირველად დაიწყება მზის სრული დაბნელება. აქედან მთვარის სრული ჩრდილი წავა აღმოსავლეთისაკენ, გადაივლის საფრანგეთს, იუგოსლავიას, რუმინეთს, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს, ყირიმს, აზოვის ზღვას და დამთავრდება საბჭოთა კავშირის ახალ ნაწილში. საქართველოზე გამოივლის მთვარის ნაწილობრივი ჩრდილი, რაც მზის ნაწილობრივ დაბნელებას გამოიწვევს.

მზის სრულ დაბნელებაზე დაკვირვებას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სრული დაბნელების ხოლში სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან მიემგზავრებიან მეცნიერები და სპეციალური მოწყობილობებით აღჭურვნენ დაკვირვებას მზის სრულ დაბნელებაზე.

დოც. ა. ფურცხვანიძე.

* * *

სურათზე: (ზევით) ასე გამოჩნდება **მზის უდიდესი დაბნელება თბილისიდან 12 საათსა და 24 წუთზე.** (ქვევით) **მთვარე უვლის დედამიწას გარშემო** და ორივე ერთად **მოძრაობენ მზის გარშემო.**



გამარჯვებულთა კვარტეტი

მეგობარი ლმერთს, ჯადრაკის ციებცხელება რომ დამთავრდა,—თქვა პარასკევს საღამოს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლის დირექტორმა. პირველობის გათამაშების უკანასკნელ დღეებში გულშემატკივრებს პირდაპირ იერიში მიჰქონდათ ამ კლუბზე, რათა „დასწრებოდ“ენ დაძაბულ ფინიშს. ამ სახლის გარშემო მრავლად იდგნენ „უბედო უბილეთოები“. საქმე იქამდე მივიდა, რომ ასეთ საერთო ფუსფუსში ერთხელ არ უნდოდათ შეეშვათ...

როგორც წესი ჩემპიონატზე მაყურებლებს ნებას არ აძლევდნენ ტაში დაეკრათ. მაგრამ „აკრძალვამ“ ვერ გასჭრა. მოსკოველები ტაშს უკრავდნენ სხვადასხვა საბაბით: ტაშს უკრავდნენ ლამაზ გამარჯვებას, ლამაზ ჩანაფიქრს. მათ არაერთხელ დაუკრეს ტაში „ცაიტნოტის რეკორდსმენს“ლ. პოლუგაევსკის, როცა მან ორმოცავე სვლის გაკეთება მოასწრო. როგორც ცნობილია, დ. ბრონშტეინი „განთქმულია“ თავისი უცნაური ჩვეულებით — იფიქროს პირველ სვლაზე. ლ. შტეინთან თამაშის დროს დ. ბრონშტეინმა პირველ სვლაზე 20(!) წუთს იფიქრა. ორი ტურის შემდეგ დ. ბრონშტეინი ვ. სმისლოვის წინააღმდეგ თამაშობდა და პირველი სვლა უკვე ხუთი წუთის შემდეგ გააკეთა. ამ „წარმატებისათვის“ მაყურებლებმა დ. ბრონშტეინი ირონიული ტაშით დაჯილდოეს.

და აი პარასკევს, უკანასკნელი ტურის გათამაშების დროს, ზუსტად ექვს საათზე გაისმა არა კანტიკუნტი, არამედ მქუხარე ტაში. პეტროსიანი და ტარასოვი ყიმზე შეთანხმდნენ. გამონაკლისის სახით ეს ყიმი დამსწრე საზოგადოებამ დადებითად მიიღო. ვ. ტარასოვის ხელის ჩამორთმევა იმას ნიშნავდა, რომ ამ მომენტიდან — მოსკოვის დროით ექვსი საათიდან — ტიგრან პეტროსიანი საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონია! მასთან მიდიან პირველობის გათამაშების სხვა მონაწილეები, რომლებმაც დროებით შეაჩერეს თავიანთი პარტიები, რათა პეტროსიანისათვის მიელოცათ. ვიქტორ კორჩნოი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საქმეებს აბარებს პეტროსიანს, რომლისგანაც ეს საქმეები ლენინგრადში მიიღო.

მედლის მიღების შანსები პეტროსიანს პირველი ტაიმის შემდეგ გაუჩნდა. დამთავრებამდე ორი ტურის წინ გამარჯვება პრაქტიკულად უზრუნველყოფილი იყო, და პეტროსიანის მისამართით დაიწყო მილოცვების მოსვლა.

ტიგრან პეტროსიანის ახალი წარმატების, ტრიუმფის შემდეგ ვაი-კრიტიკოსების ნაშთებს მოუხდებათ შეწყვიტონ საყვედურები პეტროსიანის მისამართით, რომ იგი „მეყაიმეა“. რამდენჯერ გაუკრიტიკებიათ იგი ყაიმის ტაქტიკისათვის. გინა შეიძლება ყაიმის ტაქტიკის დროს ადამიანი ორჯერ გახდეს სსრ კავშირის ჩემპიონი. რეგულარულ წარმატებებს აღწევდეს ყოველ ტურნირში. დავსახელოთ თუნდაც უკანასკნელი წარმატებანი: პირველი ადგილი კოპენჰაგენში, ახლო სუტურად საუკეთესო ინდივიდუალური შედეგი ლიპაპიკის ოლიმპიადაზე?! „მეყაიმემ“ დამთავრებულ პირველობაში მოიგო ცხრა პარტია, ამასთან მოუგო კორჩნოისა და სმისლოვსაც კი. 31 წლის ტიგრანი განუწყვეტლივ მზარდი მოჭადრაკეა: შესანიშნავი, უძლიერესი პრაქტიკოსია პირდაპირ „ჯადოქრული“ საჭადრაკო ალღოთი. პეტროსიანის პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ შერჩევითს ტურნირში იგი არ „შერჩეულიყო“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზონთაშორისო ტურნირში (ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რომელ ქვეყანაში გაიმართება იგი) პეტროსიანი კვლავ კარგად ითამაშებს და ისევ მოხვდება პრეტენდენტთა ტურნირზე. იქ კი... ვნახოთ. ამ დღეებში პეტროსიანი მაინც დაიღალა, თუმცა გამარჯვებას, როგორც თვითონ ამბობდა, არც თუ ისე ძნელად აღწევდა. საინტერესოა, რომ ტიგრანმა უკანასკნელ სამ ჩემპიონატში სამიოვერ შეაგროვა ქულების თანაბარი რაოდენობა — 13,5 ორჯერ ეს საკმარისი ნორმა აღმოჩნდა გამარჯვებისათვის, ერთხელ, ლენინგრადში კორჩნოიმ მოაგროვა 14 ქულა.

პეტროსიანზე დიდი მოთხოვნილებაა: არის ბევრი წინადადება, მიწვევა. მარტში იგი მიწვეულია ტურნირზე მარ დელ პლატოში (არგენტინა). მაგრამ უეჭველია, რომ ტიგრანი იპოვნის დროს, რათა ესტუმროს მშობლიურ თბილისსა და ერევანს.

გამოირკვა, რომ საზონთაშორისო ტურნირზე მეორე მგზავრი კორჩნოი იქნება. ერთ დროს, ტურნირის „მიტელშპილში“ ბევრს ეეჭვებოდა, რომ იგი მოხვდებოდა ოთხეულში. პირველობის გათამაშების მონაწილეთაგან ყველაზე მეტად კორჩნოიმ გამაკვირვა გამარჯვებისადმი თავისი უდიდესი მისწრაფებით, თავისი სიდინჯითა და შეუპოვრობით. თვითეულ პარტიას იგი უდიდესი დაძაბულობით თამაშობდა და ამიტომ ბევრს ეგონა, რომ გარეგნულად სუსტი გროსმაისტერი სადაც იყო „დაეცემოდა“. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. რაც უფრო უახლოვდებოდა უკანასკნელ ტურს, მით უფრო საშიში ხდებოდა კორჩნოი. ვერც ბრონშტეინმა, ვერც სპასკიმ, ვერც პოლუგაევსკიმ ვერ შეაფერხეს კორჩნოის წინსვლა. მოაგროვა რა ხუთი შესაძლებლიდან 4,5 (!) ქულა, კორჩნოი არა მარტო ადვილად შეიდა „საზონთაშორისო ზონაში“, არამედ კინაღამ დაეწია პეტროსიანს. კორჩნოი ძალაა. იგი პირველად მიიღებს მონაწილეობას „საუბრებში“, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ მსოფლიოს პირველობის საკითხთან. ზოგიერთი ფიქრობს, რომ კორჩნოის ბრწყინვალე ფინიშმა და საზონთაშორისო ტურნირში მოხვედრამ შეიძლება ძილი გაუფრთხოს თვით მიხეილ ტალს. მაგრამ ეს უკვე ძალიან შორეული პროგნოზებია.

ჩემპიონატმა უდიდესი წარმატება მოუტანა საჭადრაკო უკრაინას. გამანადგურებელი ძალით მიჰყავდა ზოგიერთი პარტია ე. გელერს, რომელიც წარუმატებელი სტარტის (საშინელი ძალის ნოკაუტი ბრონშტეინისაგან) შემდეგ ერთხანს პეტროსიანის მხარდამხარ მიდიოდა.

გელერმა ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ ოდესელებს გულისგატეხა არ უყვართ.

ამრიგად, გელერს შეუძლია შეუკვეთოს კუპე მატარებელში საზონთაშორისო ტურნირზე წასასვლელად. მაგრამ კუპე ორადგილიანი უნდა იყოს, ვინაიდან თანამგზავრად ლეონიდ შტეინიც წავა. შტეინის კოლოსალური წარმატება მკაფიოდ მოწმობს, რომ ჩვენ მტკიცე რეზერვები გვყავს. შტეინის სტილი საკმაოდ შეესაბამება მის ასაკს: ენერგიული, ოდნავ რისკიანი. მაშ როდის უნდა აწყობდე თამაშში კომბინაციებს და ფიგურებს სწორავდე, თუ არა 26 წლის ასაკში! წლები რომ გადის, კაცი ხომ უფრო ძუნწი ხდება... და მაშინ პაიკის დათმობა გეწინება. ლეონიდ შტეინს „ბედმა არ გაუღიმა“: ტურნირში ცოტა გროსმაისტერი თამაშობდა. გროსმაისტერებს შტეინი სასტიკად „გაუსწორდა“: მათთან 10 პარტიიდან 6,5 ქულა დაგროვა! ჯერჯერობით შტეინს „ნახევრადგროსმაისტერად“ თვლიან (მან პირველი საგროსმაისტერო ქულა მიიღო), მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ თავის მოკლე გვარს მალე დაუმატოს გრძელი სიტყვა „გროსმაისტერი“.

მოკლედ შევეხეთ ბედნიერ გამარჯვებულებს. ძლიერ კვარტეტს, საზონთაშორისო ტურნირზე წამსვლელებს. სხვები ზედმეტნი აღმოჩნდნენ. რას იზამ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ოთხი გამარჯვებული და 16 დამარცხებული გვყავს. არა, ეს სრულებითაც არ არის ასე. სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისი შემადგენლობით იმდენად ძლიერი ტურნირია, რომ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „არიან გამარჯვებულნი, მაგრამ არ არიან დამარცხებულნი“.

ვ. კორჩნოი

ე. გელერი

ლ. შტეინი

* * *

არიან მხოლოდ ისეთები, ვისაც საკმაო წარმატება არ ჰქონდა. წარუმატებლობად უნდა ჩაითვალოს სმისლოვისა და სპასკის მეხუთე-მეექვსე ადგილები. მოხდა ის, რისაც ეშინოდათ სმისლოვის თაყვანისმცემლებს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი „გარიყული“ აღმოჩნდა. არასასიამოვნოა, მაგრამ ფაქტია. ვინ არის დამნაშავე? პასუხი: ტურნირის ძლიერი შემადგენლობა და უწინარეს ყოვლისა თვითონ სმისლოვი. ჩვენ ვერ შევამჩნიეთ სმისლოვის ნამდვილი მომზადება. სმისლოვი ბედს ვერ დამდურავა. პირიქით, ბედმა მას არაერთხელ ძალიან ტკბილად გაუღიმა, მაგრამ მარტო ბედთან „ეკლესიობა“ ყველაზე მაღალ ადგილებზე გამოსვლის სისტემა როდია. სმისლოვი საკმაოდ შეუპოვრად არ ეწეოდა ბრძოლას, განსაკუთრებით ფინიშზე. უკანასკნელ ხუთ პარტიაში მან ვერ დაამარცხა ვერც ფურმანი, ვერც გუფელდი, ვერც ავერბახი, ვერც ბრონშტეინი და ვერც ხასინი — მხოლოდ ყაიმებს მიაღწია, ამასთან ბრონშტეინთან 13 სვლაში. დღეს ალბათ ეკამა, ეფიქრობს: რათ მინდოდა მთელი ეს ყაიმები, უმჯობესი იყო მეხრძოლნა და რისკი გამეწია. მაგრამ გვიანლაა. თუ გავიხსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ მ. ბოტვინიკმა მსოფლიოს ჩემპიონის რანგით მხოლოდ მოკრძალებული მეხუთე ადგილი დაიკავა, სმისლოვის ახლანდელი შედეგიც საკმაოდ სამყაროს უმტკიცებს, თუ რამდენად ძლიერი ტურნირია სსრ კავშირის ჩემპიონატი. პირადად სმისლოვისათვის მისი წარუმატებლობა ძალიან არასასიამოვნოა იმით, რომ უნდა თუ არ უნდა, მსოფლიოს პირველობაზე ოცნება უნდა გადადოს სამი წლით — მსოფლიოს პირველობის გათამაშების შემდგომ ციკლამდე.

იგივე შეიძლება ითქვას ბორის სპასკიზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სპასკის ისე ძალიან არ უნდა „სტკიოდეს გული“, როგორც სმისლოვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი უკვე 40 წლისაა. სპასკი, რომელიც 24 წლისაა, კიდევ მოასწრებს ჩაერიოს იმ საკითხებში, რომლებიც მსოფლიოს პირველობას ეხება. სპასკის ისე მტკიცე ნებისყოფა არა აქვს, როგორც ბოტვინიკს, ტალს, კორჩნოის. რიგაში 1958 წელს უკანასკნელ ტურში მან თვითონ გამოაგდო თავი კონკურსიდან წინდაუხედავი ქცევით პარტიაში მ. ტალთან. ახლა მას მთლად ფულატაც ნერვებმა. (ეს გასაკვირველია 24 წლის ასაკში). უკანასკნელსწინა ტურში სპასკიმ პირდაპირ „ძალად“ წაიკრა კორჩნოისთან და უკანასკნელ პარტიაში აზარტულად დადო სასწორზე ყველაფერი, რათა დაემარცხებინა და გამოეგდო შტეინი. მაგრამ, შავებით შტეინთან რომ თამაშობდა, ზედმეტი არ იქნებოდა ეფიქრნა ყაიმზეც, რაც უფლებას მისცემდა მას მიეღო „დამატებითი დრო“ მატჩში მათ შორის. სპასკის, ეტყობა, არ უნდოდა „დავიდარაბა“ დამატებით მატჩში და „თავისას მიაღწია“: იგი თავისუფალია.

ოდნავ არ ეყოთ ენერგია ი. ავერბახსა და ლ. პოლუგაევსკის. ქულები დააკლდა მ. ტალმანოვს. ან კი საიდან უნდა მიეღო ისინი ასეთი წარუმატებელი სტარტის შემდეგ? ტალმანოვმა ტურნირის დასასრულისათვის აიღო ტემპი და თავისი კარგი რეპუტაცია გადაარჩინა. ჩინებულად ჩაატარა ტურნირი ვ. სმეგინმა, რომელმაც რამდენიმე საუცხო პარტია მოგვცა.

ი. ბოლესლავსკის ტაქტიკა ტურნირში მთლად გაუგებარია. მას მინსკში 14 ყაიმი მიაქვს. რათ უნდოდა ეს ყაიმები შესარჩევი ხასიათის ტურნირში? არა გვგონია, რომ მინსკში აღტაცებით შეხვდნენ ბოლესლავსკის — ამ პირველობის „ყაიმების მეფეს“.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ისტორიას ეკუთვნის. გულშემატკივართა ღელვა მინელდა. ყველანი, მონაწილენიც და ჯადრაკის მოყვარულნიც, დამსახურებულად დაისვენებენ, ხანმოკლე შვებულებაში მიდიან. ვადა ერთი თვეა — ტალ-ბოტვინიკის მატჩ-რევანშის დაწყებამდე.

დაისვენეთ, პატივცემულო მეგობრებო, „კომუნისტის“ პატივცემულო მკითხველებო! შემდეგ საჭადრაკო ბრძოლებამდე, მალე შეხვედრამდე მოსკოვში „ორ მიხეილთან“!

სალო ფლორი

მოსკოვი, 12 თებერვალი.

გამარჯვებულებს — სპეციალური პრიზები

ჩვენი ქვეყნის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. გაზეთ „იზვესტიის“ პრიზი ყველაზე უკეთესი პარტიისათვის გადაეცა ი. ავერბახს ს. ფურმანთან პარტიაში. საკდესის პრიზი ყველაზე ლამაზი პარტიისთვის მიიღო ვ. სიმაგინმა ლ. შტეინთან პარტიაში. ყველაზე მეტი მოგებისათვის (9) გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ პრიზი მოიპოვა ტ. პეტროსიანმა. უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის (4,5 ქულა) გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზი გადაეცა ვ. კორჩნოის.

თბილისის „ბურევესტნიკი“ — ლიდერი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დებიუტანტი თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენებურთელ ვაჟთა გუნდი წარმატებით განაგრძობს ბრძოლას.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა ბაკოს სკიფ-ისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდების მატჩი. ეს პასუხსაგები ბრძოლა თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3 : 1.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

14 თებერვალი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მე-9 რესპუბლიკური ოლიმპიადა, **რუსთველის სახელობის** — ქარიშხალში, **გრიბოედოვის სახელობის** — სახიფათო ასაკი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი (სომხურ თეატრში), **სანკულტურის** — პროფესორ დოუელის თავი (აბონემენტს გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნევის შევარდენი (აბონ. № 18, 7 ს.).

ტელევიზია: დღისით 12.00 — მხატვრული ფილმი „ალო, თქვენ ნომერი შეგეშალათ“, საღამოს — 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „სიმწიფის ატესტატი“, 19.30 — IX რესპუბლიკური ოლიმპიადის ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. I ანტრაქტში — გადაცემა — „ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის“, II ანტრაქტში — ახალი ამბები.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

УЭ 00930

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

„ნივალინი“ — ბულგარელ მეცნიერთა აღმოჩენა

„ნივალინი“ — ასე ეწოდება წამალს, რომელიც აღმოაჩინეს ახალგაზრდა ბულგარელმა მეცნიერებმა დ. პასკოვმა და ლ. ივანოვამ. ეს წამალი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს პოლიომიელიტის შედეგების, სახის ნერ